ოთხშაბათი, 1917 წ. 2 მარიამობისთვე (15) წელიწადი მესამე ფასი 10 კაპ.

# საქართველო

მისამართი: თბილ., მოსკოვის ქ. № 4. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ Сакартвело.
ტელეფონი რედაქციისა და კონტორისა 15—73

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღია არის დილის 9—3 საათამდის და საღამოს 7—8-მდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველიდან წლის დამლევამდე 10 მან., 3 თვით 5 მან., ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 2 მან. ცალი № 10 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 30 კაპ. უკანასკნელზე—20 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 6 მანეთიდან—10 მანეთამდე—ზომით. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1 მ. ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება, უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 7 საათიდან 8 საათამდე.

№ 168 ეროვნულ-დემოკრატიულ ი გაზეთი № 168

## გაზეთის შინაარსი

### სადღისხმო ცნობები

მთავრობამ აკრძალა ვინმეს დაპატიმრება სასამართლოს დადგენილების გარეშე.

ორი რუსის პოლკი უარზე იყო ბრძოლაში წასვლაზე, მაგრამ ყაზახებმა დაითანხმეს.

უკრაინის რადა დათანხმდა ხმელნიცკის პოლკი ფრონტზე წავიდ.

მთავრობამ ახლად დაადგინა, დამფუძნებელ კრებამდე შეჩერებულ იქმნას მიწის შესახებ საქმის წარმოება.

სტაროობრიადების ყრილობამ გამოსთქვა სურვილი, რომ კონსტანტინოპოლი დარჩეს.

ინგლისის მეფე კერენსკის მიესალმა.

მინისტრი სკობელევი ბაქოში წავიდა გაფიცვის გამო.

ვოლინის გუბერნიაში საჩქაროდ პურს მკიან, რომ გერმანელებმა არ აიგდონ ხელში.

### წერილები

**მეთაური.** თბილისის ჩევნების შედეგი.
**ი. ფურცელი.** მუდანლოს ჩასახლებულ რუსთა აყრის გამო.
**ქართული პრესა.** ქუთაისის ვითარება.
**რუსული პრესა.** რუს. ს.-ც. რევოლიუციონერები და ამიერ-კავკასიის მართველობა.

სოფლის რევოლიუციის დღიურიდან გ. შალიბაშვილის

პასუხად ბ. ე. პ. გეგეჭკორს ერთი დელეგატთაგანის

---

გამოუთქმელ მწუხარებაში ჩვენი: მერაბ გიორგის ძე კილასონია, ნიკოლოზ ანტონ კილასონიები, ელისაბედ მერაბის ასული ჩოგავაძისა, ზაქარიელის ასული კილასონია და შალვა იაკობის ძე ჩოგავაძე აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს, 11 ამ თვეს ქალაქ კიევში უდროოთ გარდაცვალება პირველი უსაყვარლესი შვილისას, მეორე და მესამე ძმისას, მეოთხე მაზლისას და მეხუთე ცოლისძმის, სამხედრო ექიმის

### ანდრო მერაბის ძე
### კილასონიას

რომლის უკანასკნელი გამოთხოვება და დაკრძალვა მოხდება ქალაქ ქუთაისში შაბათს, 5 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე, საფიჩხიის სასაფლაოზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 7 საათზე, გენერლის ქუჩაზე საკუთარ სახლში.

4—721—1

---

უღრმესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ოლღა ოთარის ასული ფანაშვილისა შვილებითურთ და ძმებით გარდაცვალებას ძმის და დაუვიწყარს პირველ სიმამრისას, ხოლო მეორეთ მამისას

### იმონ ანდრიას ძის
### ფანაშვილისას

დაკრძალვა იქნება ხუთშაბათს, 3 მარიამობისთვეს, კუკიის წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში (19 თებერვლის ქუჩა). პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 8 საათზე. ფანასკერტის ქუჩა № 25.

1—739—1

---

### ხელისმომწერთა და აგენტებთა ყურადღებოთ

გაზეთ „საქართველოს“ კონტორა ამით აცხადებს, რომ ხელისმომწერთ, რომელთაც ხვედრი ფული შემოუტანიათ და აგრეთვე აგენტებს, რომელთაც წაღებულ გაზეთების ფული არ გადაუხდიათ, 10 მარიამობისთვიდან გაზეთების გზავნა მოესპობათ. ამიტომ კონტორა წინდაწინ გთხოვსთ დააჩქაროთ ხვედრი ფულის შემოტანა.

---

### „საქართველო“-ზე ქუთათურ ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“, რომლის საშუალებით გაზეთი „საქართველო“ ურიგდება ხელის მომწერლებს ბინებზე, ამით აცხადებს, რომ ვინც წლიურ ხვედრ ფულს სრულიად არ შემოიტანს კანტორაში 10 აგვისტომდე, მას რედაქციის განკარგულებით გაზეთის გზავნა მოესპობა და კანტორა დარჩენილ ფულს აღალებად ზომას იხმარს.

5—უ—3 კანტორა „იმერეთი“.

---

### ქართული კლუბი
(საზაფხულო შენობა)

ოთხშაბათს, 2-ს აგვისტოს 1917 წ.

### კ. ი. დოდაშვილი

მდაბიო ენით ყველასათვის გასაგებათ წაიკითხავს ლექციას

### „ქართული მსოფლიო ენათა შორის“

დასაწყისი საღ. 9 საათზე.

ლექციაზე შესვლა უფასოა. 1—720—1)

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის პირველი უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე, ფრეილინის ქუჩა № 12, ქართულ სადგილ-მამულო ბანკის პირდაპირ. ღიაა ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 1 საათამდის და საღამოს 7—9 საათამდის, ვსთხოვთ წევრებს და თანამგრძნობელთ ამ დროს განმავლობაში მობრძანდენ ხოლმე ცნობების მისაღებად. წევრებათ ჩასაწერად და ყოველ თვიური გადასახადის და შეწირულობის შემოსატანად. ყოველგვარი ცნობების მიღება და წევრად ჩაწერა შეიძლება აგრეთვე „საქართველოს“ რედაქციაში ბ-ნ. ევგენი იაკობის ძე გეგეჭკორთან.

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-6—7 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ წევრთა მიღება და ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 11—3 და საღამოს 6—7-დე ტურგენევის ქუჩა № 5, სახლი კლიმიაშვილისა.

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის მე-8 და მე-9 უბნის კომიტეტი

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოთ, რომ პარტიის წევრათ ჩაწერა შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე მესამე მომრიგებელ მოსამართლის ბინაზე (ტურგენევის ქუჩა, სახლი № 4) კომიტეტის მდივან გ. ყიფიანთან.

751

---

### საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის X და XII უბნის კომიტეტი:

ამით აცხადებს უბანში მცხოვრებ თანამგრძნობთა საყურადღებოდ, რომ პარტიის წევრად ჩაწერა შეიძლება ყოველ-დღე საღამოს 6—11 საათამდე ახალ საკრებულოს (ხარფუხის კლუბი) ბინაზე კომიტეტის დროებით თავმჯდომარე დ. ღამბაშიძესთან და კლუბის ბუჰგალტერ კალატოზიშვილთან.

---

მიიღება ხელის მოწერა ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო ქუთაისის გაზეთზე

1917 წ. **ჩვენი ქვეყანა** 1917 წ.

გაზეთის ფასი: წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 1 მან. და 50 კაპ. წლიურათ ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილადაც გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს 5, სამი თვის შემდეგ კიდევ 5 მანეთი და დანარჩენიც სეკტემბრის დამლევამდი.

რედაქციის მისამართი: ქუთაისი, თბილისის ქ. სოფ. მიქელაძის სახ., კანტორა ღიაა: დილით 9—2 საათ. და საღამ. 5—8-მდი.

რედაქტორი დ. კვირკველია.

---

ქუთაისი

### თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიისაგან

დაიბეჭდა და გასასყიდათ გამოვიდა:

1) ს. რ. გორგაძე. კაზნულ სიტყვიერე ბითი კრისტომატია ჩვენი ახალი მწერლობა. . . . . . . 3 მ. 10 შ.
2) ია. ეკალაძე. მოთხრობები მოსწავლეთათვის, წიგნი პირველი. — „ 50 „
3) ტ. მამალაძე. საშინაო სურათები, ფრინველებზე უთოფოდ ნადირობა. . . . . . . . — 5 „

იბეჭდება და მალე გასასყიდათ გამოვა:

1) გ. ყიფიანი. დაწყებითი ალგებრა (მესამე და მეოთხე კლასის კურსი).
2) პროფ. ივ. ჯავახიშვილი. ქართული სამართლის ისტორია.
3) ს. რ. გორგაძის რედაქტორობით. ვამიქაჲ წმიდისა შუშანიკისა.
4) იპ. ვართაგავა. შინაური ცხოველი და ბავშვთა სამყარო.
5) მიხ. ზაალიშვილი. არა ორგანიული ბუნება (ბუნების მეტყველების პირველი კლასის კურსი).

მალე დაიწყება ბეჭდვა:

1) ალ. ჰეჰინაძე. პირველდაწყებითი ცოდნა გეოგრაფიისა (3 რეგ. კლ. კურსი).
2) ს. გორგაძე. ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია, მეორე გამოცემა შესწორებით და დამატებით მეხუთე საუკუნის მწერლობიდან.
3) ი. გომელაური. ბოტანიკის ჰიგიენ. მესამე გამოცემა.
4) ტ. მამალაძე. საშინაო სურათები. დათვსა და არჩვზე ნადირობა ქვაბის ფსკერაში.
5) მიხეი. გარეულ ცხოველებზე ნადირობა. (10—718—2)

---

### სად. სურამის მახლობლად ს. საქანის-ხევაში
გამართულია
### სამკურნალო აბანო

არჩენს ყოველ გვარ ქარებს, სხეულის სისუსტეს, მუწუკებს და ძვალ ტეხასა. წყალი ცივიცაა და ცხელიც, არის სადგომი ბინა, მისვლა შეიძლება ურმით სად. სურამიდან, დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სად. სურამში, ტელეგრაფისტ კ. გაჩეჩილაძის გან.

აბანოს გამგე მიხეილ ბარბაქაძე.

4—725—3

---

## იყიდება

265 სული კარგი ჯიშის საქონელი 4 ფაშატი ცხენი, 10 თითო წლის კვიცი, 10 ჯიშიანი ღორი; 50 დადანის სისტემის სკა და მეძეობისათვის საჭირო ყოველივე იარაღი. ვთხოვთ ჩარჩებს ნუ შესწუხდებიან.

მისამართი: მანგლისი, ნ. ი. ყაგრიშვილი.

1—788—1

---

ქირურგიის მეცნიერების
მეორე ხარისხის ექიმი

### გალანდარიშვილი

ყოფილი ასისტენტი ბ-ნ. კაუფმანის კლინიკისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებათ ავადმყოფებს იღებს

მანგლისში

საკადეტო კორპუსის ბინაში

---

ექიმი

### გ. ი. მაჩნაძე

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულ. ავადმყოფებს ყოველ დღე, კვირა-დღის გარდა საღამოს 5—7 საათამდე. მოსკოვის ქ. № 4. (თ.—808—)

---

ექიმი

### ე. დ. შალამბერიძე

იღებს საშვილოსნო და საშვილოსნოს ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: პეტროგრადის ქუჩა № 7.

---

ექიმი

### გ. გ. მუხაძე

იღებს ხალისმაქრო ავადმყოფთ საღამოს 5-6 ს.-მდე, კვირა დღეს გარდა. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოების შენობის პირდაპირ; სახლი სვანიშვილისა. ტელეფონი № 5—77.

---

ექიმი

### გ. ფ. მგალობლიშვილი

ქალებისა და საქირურგიო სნეულებათა ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ოლღას ქუჩა № 41, მეორე სართული, ტელ. 9—58.

---

ექიმი ქალისა

### ე. ივ. გალარჯაშვილი-მათეშვილისა:

იღებს ავადმყოფებს: დილით 9—2 საათ. საღ. 5—7 საათ. ჩერქეზიშვილის და ბებუთოვის ქუჩის კუთხე № 20.

---

ექიმი

### ა. დ. კეკელია

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—4)

---

ექიმი

### გ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტის თერაპევტიული კლინიკისა. შინაგანი სნეულებანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სნეულ. სპეციალურად იღებს საღ. 5—7 საათამდე ყოველდღე კვირა უქმეებისა. მიხეილის პროსპ. № 36, მეორე სართული.

---

ექიმი

### გ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი, იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღე 3—5 საათამდე. ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 18.

---

თბილისი, მარიამობისთვის 2.

## თბილისის არჩევნების შედეგი

საქალაქო არჩევნები დასრულდა.

დაახლოვებით უკვე ნაანგარიშევია, თუ რამდენი ხმა და ხმოსანი მიიღო არჩევნებში მონაწილე პარტიამ და ერმა.

პარტიული ჯამით გამარჯვება სოციალისტებს ჰხვდათ: 120 ხმოსნიდან მათ 105 ერგებათ (პირველი ალაგი სოციალდემოკრატებმა დაიკავეს, მათი რიცხვი ორჯერ მეტია ვ დრე სოციალისტ-რევოლუციონერებისა).

ეროვნული ჯამით ისევ სომხებმა გაიმარჯვეს, მათ მიიღეს 48 ალაგი, ქართველებმა მხოლოდ 38, რუსებმა—18, დანარჩენი ებრაელებმა, თათრებმა, პოლონელებმა, ოსებმა და ფედერალისტების „დამხსნელმა“ უკრაინელებმა.

თბილისის არჩევნებში რომ სოციალისტებმა, კერძოდ სოციალ-დემოკრატებმა გაიმარჯვეს, ეს არც ისე გასაკვირია მაინცა და მაინც. ახლა ხომ ყველგან სოციალისტური პარტიების ორგანიზაციული და სულიერი ბატონობაა; ამ სარევოლუციო საქალაქო არჩევნებში არც ერთი ქალაქი არ დარჩენილა, გგონია, რუსეთში და საქართველოში, რომ სოციალისტებს მეტი ხმა არ მიეღოთ, ვიდრე არასოციალისტურ, „ბურჟუაზიულ“ პარტიების წარმომადგენელთ.

თბილისის სოციალისტურ საბჭოს მძიმე ტვირთი ეკისრება—ეკონომიურად აწეწილ, საფინანსო დეფიციტის წინ მდგომ ქალაქის მოვლა; თბილისის სოციალისტ მუნიციპალების მდგომარეობა შეიძლება უფრო მძიმეც იყოს, ვიდრე პეტროგრადის სოციალისტ-მინისტრებისა.

მაგრამ გაცილებით უფრო დამაფიქრებელია არჩევნების ეროვნული ჯამი. სომხთა ეროვნების წარმომადგენელთ 48 ალაგი ერგოთ. ქართველებს კი მარტო 38, თუმცა, ქართველ ამრჩეველთა რიცხვი თუ მეტი არა, ნაკლები ხომ მაინც არ ყოფილა სომეხ ამომრჩევლებზე.

მიზეზი ის არის, რომ არც ერთ ერს ისეთნაირად არ გამოუყენებია „ინტერნაციონალურ“ პარტიების საარჩევნო მასპინძლობა, როგორც სომხებს.

გარდა იმ 24 ხმოსნისა, რომელიც სომხურ ეროვნულ პარტიის, „დაშნაკცუტუნის“ სიით გავიდა, ორი სომეხი ხმოსანი „ბოლშევიკებმა“ გაიყვანეს, ხუთი—კადეტებმა, შვიდი—სოციალისტ-რევოლუციონერებმა და ცხრაც სოციალ-დემოკრატებმა. განსაკუთრებით საინტერესოა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ ფირმით გასულ სომეხთა საქმე. თვით სომეხთა სოციალ-დემოკრატიული პარტია „ჰინჩაკი“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას არ მიემხრო და ცალკე გამოვიდა, მაგრამ იმდენი ხმაც კი ვერ შეკრიფა, რომ ერთი ხმოსანი მაინც გაეყვანა! მაშ რამდენი-ღა „ათასი“ სომეხი—სოციალ-დემოკრატი მისცემდა ხმას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც სომხებმა უკვე „ქართულ“ ნაციონალისტურ პარტიათ მონათლეს?—პასუხი ერთადერთია—რუს. სოც.-დემ. პარტიამ რამდენიმე ათასი ქართული ხმა მისცა „გრძელვადიან სესხათ“ არ არსებულ სომეხ სოციალ-დემოკრატებს და ასეთი „კრედიტით“ დაიცვა ინტერნაციონალური ტონი. ტყუილად კი არ დაიწყეს „დაშნაკელებმა“ ქართველ სოციალ-დემო-

კრატების მხილება სწორედ საარჩევნო სიების შედგენის წინ... იმათ ყოველთვის იციან, თუ რას სჩადიან!

საბჭოს პირველი კრებები გვაჩვენებს თუ როგორ გადაეწნება ერთი-ერთმანეთს პარტიული და ეროვნული, კერძოდ სოციალისტური და სომხური ინტერესები თბილისის პირველ დემოკრატიულ საბჭოში.

—

თბილისის არჩევნები ძლიერ საგულისხმოა აგრეთვე ქართული პარტიების ნაციონალ-დემოკრატების და სოც.-ფედერალისტების შედარებისათვის: ხუთმეტი წლის განმავლობაში მოქმედმა „სარევოლუციო“ პარტიამ ოთხი ხმოსანი ძლივს გაიყვანა, ისიც უკრაინასთან „კონფედერაციული“ ბლოკის წყალობით, „ბურჟუაზიულმა“ ეროვნულ-დემოკ. პარტიამ კი, რომელიც სულ ოთხი თვეა რაც ორგანიზაციულად შეკავშირდა, რევოლუციურ და სოციალისტურ დროსაც კი გაასწრო ხმებით სოციალისტ-ფედერალისტებს.

ეს მოვლენა ძლიერ დამახასიათებელია ქართული პოლიტიკური ვითარებისათვის.

## მუღანლოში ჩასახლებულ რუსთა აყრის გამო

დიდი საყურადღებო ამბავი დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გუშინდელს ნომერში. მუღანლოს ველის (ბაქოს გუბერნიაში) რუსთ მოახალშენეთ ყრილობაზე დაუდგენიათ აიყარონ და რუსეთში, თავიანთ სამშობლოში, გადასახლდნენ.

მუღანლოს თვალუწვდენელი ველი ძველის ძველად მთელი გარშემო სახელმწიფოების მარჩენალი იყო პურით, ბამბით, აბრეშუმით. განვლო საუკუნეებმა, მონგოლთა ურდოების შემოსევამ და ადგილის ხალხის კულტურის დაცემამ გააპარტახა ეს მდიდარი კუთხე ქვეყნისა, ტყეები მოიკაფა, სარწყავი არხები ამოივსო და მკვიდრნი გაიხიზნენ.

კულტურის მაგიერ იქ მომრავლდა გველები, კოღოები, ჩალაბულები და ტურა-მგლები.

ამ ოციოდე წლის წინად ირგვლივ მოსახლე თათრები შეუდგნენ ცდას ძველი არხების განახლებისას და მიმართეს, მაშინდელ ჩვეულებისამებრ, ადგილის პოლიციას სათანადო ნებართვისა და დახმარებისათვის.

მაშინ მთავრობამ მიაქცია ყურადღება ამ კუთხეს, იმ დროს ყოვლად უსარგებლოს, მაგრამ აუარებელ სიმდიდრის მოტანის შემძლეს, თუ კი სარწყავ არხების განახლებას და მუშა ხალხით დასახლებას შესძლებდენ.

შეიმუშავდა პროექტი რუსების დასახლებისა ამ კუთხეში, რისთვისაც წინდაწინ უნდა მოეწყოთ იქაურებს, იმდენად მაინც, რომ ადამიანს, შორიდან მოყვანილს, შესძლებოდა იქ ცხოვრება.

ერთსა და იმავე დროს მაშინდელი მთავრობა შეუდგა ორ საქმეს: რუსებში იქ დასახლების მსურველთ შოვნისას, და მასთან ჩინებული გზების, ჩალაბულების გაწმენდას და არხების გაყვანის პროექტების შედგენას,

საოცარ უპირატესობას აძლევდენ იმ რუსებს, ვინც აქ დასახლებაზე თანხმდებოდა: გზის ხარჯს, სახლის აშენებისა, საქონლის და სამეურნეო იარაღის ყიდვისათვის საჭირო ფულს, მუქთა ეკლესიას, მღვდელს, სკოლას, ექიმს, წამალს და ყოველგვარ გადასახადისაგან განთავისუფლებას ათი წლის განმავლობაში.

მოაწყდა აუარებელი რუსობა. ამერიკული სისწრაფით გაშენდა ორმოციოდე დიდი სოფელი, გაყვანილ და დასრულებულ იქმნა მთელი ქსელი სარწყავ არხებისა. ყველაფერი ეს მართებლობას დაუჯდა რამდენიმე ათეული მილიონი.

იმ დღიდან აქამომდე ახალშენელებს მიწა აძლევს საარაკო მოსავალს ბამბისას, პურისას, ბრინჯისას და ბოსტნეულობისას. ამ მოსავლის სიუხვემ იმდენი რუსნი მოიტყუა იქ დასახლების მსურველნი, რომ მთავრობა ჰფიქრობდა ახალ მოსულთათვის აღარავითარი პრივილეგია აღარ ეძლია.

ხოლო ყოველ საპირეს თავის სარჩული აქვს. გერმანელ ზარბაზნებზე უფრო ზარალმცემი გამოდგა იქაური უბედური—მალიარია, რომელიც დღევანდლამდე და დღესაც მუსრს ავლებდა და ავლებს იქაურობას.

ამიერ კავკასიის კომისარიატს განუზრახავს დაუყოვნებლივ კომისიის შედგენა ამ მოახალშენეთა გადაწყვეტილების გამომწვევ ყოველგვარ გარემოების შესწავლისათვის. კომისიას უთუოდ ისიც დაევალება, რომ ყოველი ღონე იღონოს, მოახალშენენი დაიყოლიოს იქვე დარჩენას.

ხოლო ვარწმუნებთ ყველას, რომ ვერავითარი მიწიერი ღონისძიება—ნივთიერი იქნება იგი თუ ზნეობრივი, იმავ რუსებს იქ ვეღარავინ შეაკავებს, როგორც ვერავინ აკავებს, ჯერ-ჯერობით, ბრძოლიდან გამოქცეულ ჯარს.

ზარი, ყუმბარებისგან იქნება იგი დაცემული, თუ ჟუჟურისაგან (მალარიისაგან) ფსიხოლოგიურათ ერთნაირად მოქმედებს ადამიანთა ბრბოზე.

შეიძლება, ჯარს თუ მოაცლიან მოახალშენეთა საყარაულოდ, ისინი დარჩნენ იქვე, სანამ ყარაულებს ქვეშ იქნებიან, მოხსნიან ყარაულებს—დაიქაქსებიან ისინიც.

მაშ რა ქნას ხაზინამ—დალუპოს იმდენი იქ ჩაყრილი მილიონები, რომელთა პროცენტების მიღებას ხოლოდ ამ დროიდან მოელოდა!

მეორე მხრით ნუ თუ ფულებს უნდა ანაცვალოს მთავრობამ ხალხი და მისი შემდეგნი მოდგმანი?

ჩვენ ვიცით ორი გამოსავალი, რომელთა მიღებით ხალხიც მოიგებს, მთავრობაც და ხაზინაც.

პირველი ის არის, რომ იმ რუსების მაგიერ, რომელნიც ვერ შეეგუენ მუღანლოს ჰავას, თუმცა მთავრობა კინაჟინიზაციითაც შველოდა მას მუქთად, ჩაასახლონ იქ ის რუსები, რომელნიც მუღანლოს მსგავს ჰავას უკვე შეგუებიან და კიდეც მრავლდებიან ადგილობრივ. ესენი არიან სოხუმის ოლქში, გურიასა და ალაზნის გაღმა ჩასახლებულნი რუსები, რომელნიც ჭაობებში ცხოვრებას შეჩვეულნი არიან და მუღანლოს ველის ჰავას აღარ შეუშინდებიან.

თუ ამ რჩევას არ შეიწყნარებს მთავრობა, იმ შემთხვევაში არის მეორე გზა, უფრო იაფი და იმავ დროს უფრო შემოსავლიანი. ეს გზა არის იმ საოცრად ნაყოფიერ მიწების იჯარით გაცემა ადგილობრივ ხალხის შვილებზე, რომელნიც მუღანლოს გარშემო მოსახლეობენ დღესაც და მუშტრისა და შურის თვალით უყურებენ ამ, მათ თვის აღთქმის ქვეყანას.

ყოველი ადგილობრივი კაცი დიდის სიამოვნებით აიღებს იჯარით ამ მიწებს და იმდენ ფასს გაიღებს იჯარისას, რამდენსაც არავინ სხვა ხალხთა შვილთაგანნი.

**ილ. ჭყონია.**

## ქართული პრესა

**ქუთაისის ვითარება.**

გაზეთი „ალიონი“ სწერს:

„ქუთაისის გუბერნიის კომისარი ამხ. გ. გიორგაძე დეპეშით აცნობებს ამხ. ა. ჩხენკელს, რომ გუბერნიაში გამეფებულია რევოლუციური წესრიგი, მთავრობის დაწესებულებები ყველგან მოწყობილია, მთავარი საზრუნავი დღეს სასურსათო კრიზისის თავიდან აცილებაა და სხ. ეს ცნობა არ ეთანხმება იმას, რასაც დღე მუდამ ვკითხულობთ თუ გინდ ქუთაისურ გაზეთებში. ქუთაისში თუ მის ახლო-მახლო დღესაც არ შეწყვეტილა პარტიათა წინააღმდეგ მუშტითა და კრივით ბრძოლა. დარბევამ და თავ პირის მტვრევამ თითქო რაღაც სისტემატიური ხასიათი მიიღო. იქვე არ არის, რომ ამის წინააღმდეგ ადგილობრივი დემოკრატია იბრძვის და კვლავაც იბრძოლებს, მაგრამ სჩანს კონტრ-რევოლიუციონერები და ხულიგნები კიდევ ვერ აულაგმავს დემოკრატიას, ვერ დაუდებს საზღვარი მათი თარეშისათვის. თუ რევოლიუციურ წესრიგია გუბერნიაში გამეფებული და მთავრობის დაწესებულებები ყველგან მოწყობილი, უწესრიგობა, რბევა და ხელჩართული ჩხუბიც არ უნდა იყოს თითქმის ყოველდღიური მოვლენად გუბერნიაში. სჩანს, ყველგან არ ყოფილა განმტკიცებული და გამაგრებული რევოლიუციური წესრიგი, ყველგან მთავრობის დაწესებულებას არ ჰქონია ხელთ სათანადო ძალა და გავლენა, რომ მართლაც წესრიგი და მშვიდობიანობა დაამყაროს.“

დასასრულ, გაზეთი დასძენს:

„ძველი „ჩინოვნიკური“ „Все обстоитъ благополучно“ რევოლიუციურ დემოკრატიას არ შეშვენის: აქ მუშაობა, გარჯა, აქტიური შრომა და მოქმედებაა საჭირო და არა დამამშვიდებელი დეპეშები“.

## რუსული პრესა

**რუსეთის სოციალისტ-რევოლიუციონერები და ამიერ-კავკასიის მართველობა.**

რუსეთის სოციალისტ - რევოლუციონერების ცენტრალ კომიტეტის ორგანოს „Дѣло народа“-ს თანდა თან მადა ემატება კავკასიის საქმეებში ჩარევისა. 107-ნომერში დაბეჭდილია წერილი „ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტების შემადგენლებაზე“. გაზეთი სწერს:

„დადგა ის საბედისწერო დრო, როდესაც ყოველივე ძალღონით უნდა შევეცადოთ რევოლუციის მიერ მოპოებულ თავისუფლების შენარჩუნებას. უბედურების წინ ერთდებიან წრეები ერთი ნების შესაქმნელად, რათა მოუსრისონ თავი კონტრ-რევოლუციას.

ამ განსაკუთრებულ მომენტში, როდესაც საჭიროა გამოცდილება და სწრაფი ზომები—დროებითი მთავრობა იღებულება რევოლუციონურ ორგანოების მიერ ფართო უფლებებით. ადგილობრივი მართველობა უნდა იყოს გამოხატული ცენტრალი მართველობისა და მისი მოქმედება უნდა იყოს შეთანხმებული ცენტრის ნების ყოფასთან. თავის დროზე ჩემ მიერ აღნიშნული იყო, რომ დროებით მთავრობის პირველი შეცვლა სრულებით არ შეხებია ამიერ-კავკასიის შემადგენლობას მის დემოკრატიზაციის მიხედვით. საწინააღმდეგოდ გაძლიერებულნი იქნენ კადეტები ბ-ნ გუტონის დანიშვნით. ამასთანავე უნდა მოვიგონოთ, რომ ამიერ-კავკასიის კომიტეტი შემდგარია დროებით მთავრობის სახელზე და მის უფლებებზე, და როგორც ასეთნაირი ყოველთვის უნდა იყოს მისი გამოძახილი, მისი ნამდვილი კოპიო.

დღევანდელ მდგომარეობის გამო იბადება კითხვა—შესძლებს თუ არა ამიერ-კავკასიის კომიტეტი ცენტრის დადგენილების გატარებას ცხოვრებაში?

ძლიერ საეჭვოა ვინაიდან ის დღემდე სათამაშო საგანი იყო თბილისის მუშათა და ჯარის კაცთა საბჭოების ხელში. ახლა კი, როდესაც რევოლუციას ხიფათი ელის, ადგილი არა აქვს ყველა ამ მოლაპარაკება-შეთანხმებას და სხვ. საქმის ინტერესებისთვის საჭიროა სწრაფი და განსაკუთრებული მოქმედება. მდგომარეობა, რომელიც მშვიდობიანობის დროს არსებობდა ეხლა შეურიგებელია. ამიერ-კავკასია, როგორც რუსეთი, უნდა აღიჭურვოს ისეთნაირ ორგანოთი, რომელსაც დროებით მთავრობის მზგავსათ ნდობას გამოუცხადებენ რევოლუციონური ორგანოები, რაც შეუძლებელია დღევანდელ ამიერ-კავკასიის კონსტიტუციის პირობებში. სახელმწიფოს ინტერესებისათვის რევოლუციის დარაჯმა დროებითმა მთავრობამ ამიერ-კავკასიის კომიტეტს დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს. უნდა შეცვლილ იქმნას კომბინაცია მარტის პირველ დღეებისა როგორც დრო მოჭმულისა, ვინაიდან ეს კომბინაცია მოწვეულ იქნა ლვოვ-მილიუკოვის მიერ.

ამიერ-კავკასიაში ამ რთულ მომენტში არ უნდა ხდებოდეს ბრძოლა უფლებისათვის, არ უნდა ისმოდეს „ჩვენ და ისინი“.

უკიდურეს შემთხვევაში თუ ამ ჟამად შეუძლებელია ამიერ-კავკასიის კომიტეტის რეორგანიზაცია, მაშინ კომიტეტის სათავეში მაინც უნდა დადგეს სოციალისტი შედარებითი ძლიერი და ავტორიტეტით აღჭურვილი. ამიტომ უნდა გაიგზავნოს ჩხენკელის მოსახმარებლად და სოციალისტურ მიმდინარეობის გასაძლიერებლად ადგილობრივი მეორე სოციალისტური ს.-რევოლიუციონურ პარტიის წარმომადგენელი.

ეს ის მინიმუმია, რაც ამიერ კავკასიისთვის აუცილებელია. ვერავითარი სხვა კომბინაციები ვერ შესძლებენ კონტრ-რევოლუციონურ გამოსვლის შეჩერებას, როგორც ეს პეტროგრადში მოხდა. ვფიქრობ, რომ ამ დასმულ საკითხს ჯეროვან ყურადღებას **მიაქცევენ** მინისტრი-სოციალისტები“-ო.

# ომი და ზავი

**დეპეშები**

**რუსეთის ბანაკის ცნობა.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. ოფიციალი. **დასავლეთის ფრონტი.** სროლა და მზვერავთა მოქმედებაა.

**რუმინეთის ფრონტი.** სიპოტის ჩრდილო-დასავლეთის რაიონში მტერმა იერიში მოიტანა. ოკნაგავესჩის რაიონში ბრძოლა კვლავ სწარმოებს. მდინარე სლონიკუს ღელეში მტრის კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. ხელთ ვიგდეთ 600 ტყვე და 4 ტყვიისმფრქვეველი. ფოკშანის მიმართულებით გუშინ, მკათათვის 30-ს, გერმანელებს ფოკშან-აჟუდის რკინის გზის დასავლეთისკენ კვლავ იერიშები მოჰქონდათ. ჩვენები ვაჟკაცურად ეგებებოდნენ. ალაგ ალაგ კონტრ იერიშზედაც გადადიოდნენ. მე-412-ე პოლკმა მარჯვე იერიშით 500 ავსტრიელი წამოიყვანა ტყვედ. სალამოთი ჩვენები მტრის შემოტევის გამო სტრასკი-დონეცის ხაზისკენ წამოვიდნენ. დანარჩენი ფრონტი უცვლელადაა.

**მფრინავთა მოქმედება.** ჩვენი თვითმფრინავები მტრის ზურგის სხვა და სხვა პუნქტებს ყუმბარებს უშენდნენ.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** მკათათვის 29. სენკანტენის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლაა. ფეის აღმოსავლეთით გერმანელების იერიშები შევაჩერეთ. შამპანში საარტილერიო ბრძოლა შესუსტდა. წუხელ გერმანელებმა ორჯელ მოიტანეს იერიში მონგოს თხრილებზე, მაგრამ საარტილერიო ცეცხლით უკან გავაბრუნეთ. ასევეა ბლონის მთაზე. დანარჩენ ფრონტზე ხანგამოშვებით საარტილერიო სროლაა.

**მფრინავთა მოქმედება.** მკათათვის 28-ს დილით ჩვენმა მფრინავებმა ჩამოაგდეს გერმანელების 2 ჰაეროპლანი, დააზიანეს 2 და ყუმბარები დაუშინეს შლეშტადტის ჰაეროდრომსა და გუტხიულენტის ტყეში დაცემულ ბანაკს.

**ახლო აღმოსავლეთი.** მკათათვის 28. მთელს ფრონტზე არტილერიის საშუალო მოქმედებაა. ბოლგარელები სერბიელების თხრილებს უახლოვდებოდნენ, მაგრამ უკან დაიხიეს.

**პარიზი.** მკათათვის 30. ბელგეთში მთელი დღე იპრტებიზის უბანში დიდი საარტილერიო ბრძოლაა. ასევე—მაასის ორსავ მხარეზე. გერმანელთა არტილერიამ რეიმს სროლა აუტეხა.

**პარიზი.** მკათათვის 30. **ახლო აღმოსავლეთი.** მკათათვის 29-ს დოირანის ტბის მახლობლად, მდინარე ირნისა და პრესპა-ოჰრიდის ტბის შუა მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ბრიტანელები ბოლგარელების თხრილებს თავს დაესხნენ.

**ინგლისის ბანაკის ცნობა.**

**ლონდონი.** მკათათვის 29. (დაგვიანებულია) დილით მტერმა ჩვენები გლენკორსის ტყისკენ გამოდევნეს. სტეენბეკის მარჯვენა მხარეზე ჩვენ მნიშვნელოვანი ადგილები დავიჭირეთ წამოვიყვანეთ 24 ტყვე

**ლონდონი.** მკათათვის 30. წუხელ ჩვენი ჯარი ქვენშის აღმოსავლეთით გამაგრდა. ლია-ბასეში ჩვენ გერმანელების კონტრ-იერიშები მოვიგერიეთ. იპრის აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით მტერი მძლავრ არტილერიას ამოქმედებს. მკათათვის 30-ს ბელგეთში დიკსმუტეს ჩრდილოეთით საარტილერიო სროლაა. ფათეს აღმოსავლეთით ჩვენ მკათათვის 27 და 28, მტრისაგან წართმეული თხრილები დავიჭირეთ. მუაზის, მელენის და ლაფოს ფერმების უბნებში ჩვენმა მზვერავებმა დიდი სიგმირე გამოიჩინეს; დაიჭირეს ასპარეზი და ღამე წინ წაიწიეს. ელზასში პატრულების შეტაკებაა.

**ლონდონი.** მკათათვის 31. მკათათვის 28-ში წამოყვანილ ტყვეთა რიცხვი 454 უდრის. მათში 9 ოფიცერია. ჩვენ ჩავიგდეთ აგრეთვე მტრის ზარბაზნები. დღეს დილით არმანტიერის სამხრეთით მტერი მოულოდნელად თავს დაგვესხა) მაგრამ მოვიგერიეთ. პორტუგალელი ჯარიც გვეშველებოდა.

**ლონდონი.** მკათათვის 30. სამხედრო იუწყება, რომ მკათათვის 27-ს ღამე ინგლისის საზღვაო მფრინავებს რამდენიმე გისტელლეს ჰაეროდრომებისათვის რამდენიმე ტონი ყუმბარა დაუშინათ. ტერუს მთავარ სადგურისათვის მფრინავებს ტყვი სმფრქვევლებითაც აეტეხნათ სროლა. მკათათვის 28-ს სპარპელგეკში ინგლისელთა მფრინავები კვლავ ჰაეროდრომს დაესხნენ თავს.

**მფრინავთა მოქმედება.** გუშინ ჩვენი მფრინავები მარჯვედ მოქმედებდნენ. ჩამოვაგდეთ გერმანელთა 3 ჰაეროპლანი. დავაზიანეთ 4! ჩვენ ჰაეროპლანი არ დაგვბრუნებია. 2 ც დაგვიზიანდა.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** მკათათვის 30. ოფიციალი. იულიუსის ალპის მთებზე ცხარე საარტილერიო ბრძოლაა. ჩვენ სანტალუჩიას და ტოლმინოს სადგურები და აგრეთვე მათ მახლობელ რკინის გზის ლიანდაგი დავაზიანეთ.

**ბახმეტევის განცხადება**

**ნიუ-იორკი.** მკათათვის 30. ნიუიორკში ჩამოსულ ელჩების მოთავე ბახმეტევმა კოსტიუშკის ძეგლი გვირგვინით შეამკო. პოლონელთა კომიტეტის წევრებსა და პოლონელ ემიგრანტებს მისალმებით სიტყვაში უთხრა, რომ რუსეთის რევოლიუცია პოლონეთს ახალ, თავისუფალს და დამოუკიდებელ ცხოვრებას მოუპოვებსო. მან აღნიშნა რომ ომი პრინციპების გამო მთელ ქვეყნის ომად გადაიქცა. იგი დემოკრატიის ავტოკრატიასთან შებრძოლებაა, და მხოლოდ დემოკრატიის გამარჯვება მოუპოვებს პოლონეთს ნაციონალურ დამოუკიდებლობას. სალამოს ოფიციალ ბანკეტზე ბახმეტევმა სთქვა, რომ რუსეთი გადასწყვეტს პოლიტიკურ გარდაქმნის პრობლემასო. მის მომავლისთვის კი ორი ფაქტორია საჭირო: ძლიერი დემოკრატიული მთავრობა და ძლიერი ლაშქარიო“.

**უარი ბრძოლაზე.**

**მოლძადი ლაშქარი.** მკათათვის 29. იაკობშტადტის რაიონში სიწყნარეა. ამ დღეებში ბოლშევიკების აგიტაციის გამო ორმა პოლკმა შეტევაზე და ასპარეზის დაჭერაზე უარი განაცხადა. ყაზახების დივიზიისა და ჯავშნიან ავტომობილების შიშმა მალე თავიანთი უარი ორსავე პოლკს გადაათქმევინეს.

**სად. მოლოდეჩნოდან ჰოსპიტლები გადმოაქვთ.**

**მოლძადი ლაშქარი.** მკათათვის 31. სადგურ მოლოდეჩნოს მტრის მფრინავი ერ ასვენებენ. მდგომარეობის გამწვავების გამო დაჭრილ დაავათმყოფებულთა გამოსაგზავნად ჰოსპიტალების გადმოსატანად ზომებია მიღებული.

**გერმანელთა ჰაეროპლანების მოქმედება.**

**მინსკი.** მკათათვის 30. გერმანელთა ჰაეროპლანებმა სადგურ სტოლბცის (ალექსანდრეს რკ. გზაზე) თავდასხმა გააჩაღეს. არც მოლოდეჩნოს აკლებენ. დღე-ღამეში ხან ნ-ჯერ ესხმებიან თავს. დღისით ყუმბარებს სადგურის სასანიტარო პატარა ქალაქს უშენენ.

წუხელ სადგურს [illegible] ესროლეს. ზარალი [illegible]

**ავადმყოფობა რუსის მოქმედ ჯარში**

**მინსკი.** მკათათვის 29. შესდგა ფრონტის სანიტარიული [illegible] იმის გამო, რომ ერთობ ბევრი სალდათები უარს ამბობენ აცრაზე [illegible] და ხოლერა. დადგენილ იქნა მონაწილეობის მიღება ეთხოვოს ყველა კომიტეტებს, გამოიცეს პოპულარული ფურცლები, გამართულ იქმნას [illegible] ექიმებისა ჯარისკაცებთან. [illegible], რომ ავადმყოფობა ფართო ხასიათს ღებულობს და თუ აცრა არ მოხდა მრავალს იმსხვერპლის.

**მოკავშირეთ იაპონიის სამხედრო გემები მიშველებიან**

**ლონდონი.** მკათათვის 29. იაპონიის საზღვაო [illegible] იუწყება, რომ იაპონიის ახალი სამხედრო გემები მოკავშირეთა საზღვაო ძალის შემადგენლობაში შევიდა.

**ჰაეროპლანების თარეში**

**მინსკი.** მკათათვის 30 პრუდის სადგურს გერმანელთა ჰაეროპლანმა ჩამოაგდო ყუმბარა, დაჭრილია ორი. ღამე გამოჩნდა „ცეპელინი“, მაგრამ ჩვენებმა [illegible] დაუშინეს და მიიმალა.

**მარკის ფასის დაცემა**

**პარიზი.** მკათათვის 29. „მატენ“-ი იტყობინება ჟენევიდან, რომ მარკის კურსი ჩამოვიდა 61-დამ 30 ფრანკამდე.

**ქვეითა პოლკის მიტინგი**

**გლუხოვი.** მკათათვის 29. ქვეითა პოლკის მიტინგზე 27 მკათათვეს ირკვეოდა საკითხი—რა წესით უნდა წავიდეს ოლქი პოზიციებზე. დეპუტატთა საბჭოს თავმჯდომარე, პრაპორშჩიკი [illegible] არწმუნებდა ჯარს, მოიცადონ [illegible] შევუბნობდეს პოლკი, მაგრამ ჯარმა მოითხოვა მისი დაპატიმრება და გადასწყვიტეს ნაწილ-ნაწილად წასვლა პოზიციებზე.

**ინგლისის მეფის დეპეშა კერენსკის**

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. ინგლისის მეფემ მინისტრ თავმჯდომარე კერენსკის შემდეგი დეპეშა გაუგზავნა: „იმ ბრძოლის მეოთხე წლის დამდეგს, რომელიც კვლავ მძვინვარებს ამ მომენტში, როდესაც თქვენ იღებთ თავისუფალ რუსის ერის მთავრობას [illegible] სათავეში—მე მსურს გამოვუცხადოთ თქვენ და რუსის ერს, რომ ინგლისელები საერთო მტერთან ბრძოლაში არ შესუსტდებიან. სამართლიანი ზავი და ზავის თავისუფლება—აი მოკავშირეთა მომავალის ჩვენება. ვიცი თუ რამდენი მსხვერპლი შესწირა რუსეთმა და მწამს, რომ იგი კვლავ ყველა სიძნელეს არად მიიჩნევს ამ კრიტიკულ ხანაში“.

# რევოლუცია

**დეპეშები**

**აჩქარებით პურის დაბინავება**

**ჟიტომირი.** მკათათვის 30. რადგანაც ხმა გავრცელდა, ვითომც მტერი ხელში ჩაიგდებს ვოლინის მდიდარს მოსავალსო, გუბერნიის სასურსათო გამგეობა ამით აცხადებს, რომ ეს ცნობა ნაადრევი და სრულიად უსაფუძვლოა. პურის მკა მთელს ვოლინში გაცხარებულია. ფრონტზე ამბების გამო გამგეობამ მიიღო სათანადო ზომები საზამთრო პურის თავის დროზე დაბინავებისათვის. მოწყობილია სამხედრო კომანდები, ტყვეთა რაზმები, მოწვეულია საერობო კავშირის ყველა ორგანიზაციები, აგრონომები, ეროვნული და სხვ. მკა კარგად მიდის. ორს მაზრაში მკა უკვე ბოლოვდება. მიღებულია საგანგებო ზომები პურის თავის დროზე დაბინავებისათვის მეტადრე ფრონტის ახლო. ამ საქმისთვის გადადებულია 3 მილიონი მანეთი, მკიან, ლეწავენ, ფქვავენ, უფლობენ და აგზავნიან ყველგან, სადაც კი საჭიროა. იმედია, რომ პურის დაბინავება მთელს ვოლინში თავის დროზე დამთავრდება.

**ინსტრუქცია უკრაინის სეკრეტარიატისთვის**

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. საზამთრო სასახლეში მოხდა დახურული კრება დროებითი მთავრობისა კერენსკის თავმჯდომარეობით, რომელზედაც გაირჩა საკითხი დროებითი ინსტრუქციის შესახებ უკრაინის დროებითი მთავრობის საგენერალო სეკრეტარიატისთვის.

შრომის მინისტრი სკობელევი [illegible] გამგზავრა ბაქოში დასაზოგავად [illegible] დავისა, რომელიც მოხდა მუშებსა და ნავთის პატრონებს შორის.

**მთავრობის დადგენილება მიწის საკითხზე**

**პეტროგრადი.** მკათათვის 27. (დაგვიანებულია). დროებითმა მთავრობამ დაადგინა, სანამ დამფუძნებელი კრება გადასწყვეტდეს მიწის საკითხს, შეჩერებულ იქმნას საქმის წარმოება, შედგენა, დამტკიცება და გაცემა შემოწმებულ აქტებისა: ა) საზოგადო ნაჭრებზე იმ საზოგადოებებში, სადაც არა ყოფილა საერთო გაყოფა; ბ) საზოგადო ნაჭრებზე იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს ძველი მფლობელობა ეზოებისა; გ) საფუძვრებზე იმ საზოგადოებებში, სადაც არსებობს საზოგადო მიწის ფლობელობა; დ) ნაჭრებზე რომლებიც გამოსყიდულია ვადაზე ადრე 165 მუხლის ძალით გამოსყიდვის დებულებისა, გამოცემა 1876 წ. და 113 და 114 მუხლი. ამავე დებულებისა, გამოც. 1912 წ. 2) დამტკიცება საკუთრებად თვითეულისთვის თუ საერთოდ [illegible] წევრებისთვის საზიარო სანადელო მიწების ნაჭრებისა, აგრეთვე მონაწილეობის უფლებისა იმ მიწებზე, რომლებიც გაყოფება ან არ გაყოფება საგანგებო წესით. 3) დამტკიცება გადასახლებულთა მოთხოვნით მათ საკუთრებად საზიარო სანადელო მიწების ნაჭრებისა იმ ადგილებში, საიდანაც ისინი გადმოსახლდებიან, აგრეთვე გადაცემა უფლებისა დამტკიცებ ეს ნაჭრები. 4) მიწის ყოველ საკითხის შესახებ, რომელსაც შეეხება დებულება 29 მკათათვის 1911 წლისა და 42—53 და 55 მუხლებს სოფლელთა მდგომარეობის დებულებისა. ამ დებულებიდამ არ უქმდება წარმოება იმ საქმეთა, რომლებიც ექვემდებარება 11 დეპარტამენტს სენატისას და წარედგინება საგუბერნიო გამგეობისა ანუ შინა საქმეთა სამინისტროსაგან

120—122 მუხ. ძალით იმ დებულებისა, რომელიც ეხება გლეხებს და საჩივრებს ადგილობრივ გლეხთა თუ მიწის მომწყობ დაწესებულებათა გადაწყვეტილებაზე. თუ აღნიშნული საქმეები, სენატის მიერ გარჩევის შემდეგ, მოითხოვენ კვლავ წარმოებას საგლეხო თუ მიწის მომწყობ დაწესებულებაში, ასეთების წარმოებაც (არ?) უქმდება. გაუქმდეს: 1) საგუბერნიო და სამაზრო მიწის მომწყობი კომისიები; 2) თანამდებობანი უცილობელ წევრთა, მათ თანაშემწეთა და მდივნებისა, აგრეთვე გამგეთა მიწის მომწყობ მუშაობათა და დატოვებულ იქმნან შტატს გარეთ ესენი, თუ ვინიცობაა არ მიიღეს სხვა თანამდებობანი. ნება ეძლევა საგუბერნიო კომიტეტებს წარადგინონ მიწის მთავარ კომიტეტში მოხსენება, რომ საქმე, დაწყობილი მიწის მოწყობის დებულების ძალით, გათავებულია და ხალხი უკვე სარგებლობს მიწით. დადგენილება ესე მოყვანილ იქმნას არსებაში სენატის მიერ განცხადებამდე.

# ეროვნული საკითხი

**უკრაინელ და რუს ჯარის კაცთა შეტაკება**

**კიევი.** მკათათვის 27. (დაგვიანებული) ფრონტზე მატარებლით გაგზავნილ იქმნა 1-ლი და მე-2 ეშელონები უკრაინელ ბოგდან ხმელნიცკის პოლკისა. სადგურ „კიევის" ახლოს უკრაინელებმა უმიზეზოდ აუტეხეს სროლა კირასირებს, რომელნიც რკინის გზას სდარაჯობდენ. სროლას კირასირებმაც სროლითვე უპასუხეს. ვოლინსკის სადგურთან აჯანყებულები შეხვდენ კირასირების პოლკს, რომელიც გაფრთხილებულ იქმნა წინდაწინვე კიევიდან. უკანასკნელები გარს შემოერტყნენ ბოგდანელების მატარებელს და დამორჩილება უბრძანეს. ბოგდანელებმა დამორჩილებაზე უარი განაცხადეს. ამის შემდეგ კირასირებმა ტყვიის მფრქვეველები მოიხმარეს და აჯანყებულნი იძულებულ ჰყვეს დანებებოდენ. რამოდენიმე მათგანმა გაქცევით თავს უშველა. დღეს კიევში მოიტანეს მატარებლით 14 მკვდარი. ფიქრობენ, რომ ორთავე მხრით დაჭრილი და დახოცილი უდრის 50.

**უკრაინის ცენტრალი რადის მოწოდება**

**კიევი.** მკათათვის 22. უკრაინის ცენტრალი რადის კომიტეტმა კიევის მცხოვრებლებს და მთელ უკრაინას მოწოდებით მიმართა. აუწყებს ამ სამწუხარო მოვლენას, რომელმაც გამოიწვია სისხლის ღვრა ორი მოძმე ხალხისა და ჯარის კაცებისა.

# გენერალ რემერის ჩამოსვლა კიევში

**კიევი.** მკათათვის 30. ჩამოვიდა გენერალი რემერი, გამოგზავნილი მთავარ-სარდლის ბინაკიდან, გამოსაძიებლად იმ ამბისა, რომელიც მოხდა ბოგდან ხმელნიცკის პოლკის გაგზავნის დროს ფრონტზე. გენერალმა შეადგინა კომისია, რომელშიაც შევიდნენ: წარმომადგენელნი სამხედრო პროკურორისა, კიევის სამხედრო ოლქის შტაბისა, სალდათთა დეპუტატების საბჭოსი, სამხედრო გამომძიებელი—წევრი უკრაინის ჯარის კომიტეტისა და წარმომადგენელი უკრაინის სამხედრო დეპუტატებისა.

# ბაგდან ხმელნიცკის სახელობის პოლკი

**კიევი.** მკათათვის 30. სამხედრო ოლქის მთავარ უფროსმა კიევში დარჩენილ ბაგდან ხმელნიცკის სახელობის მე-3, და მე-4, ეშელონების პოლკის ფრონტზე გასვლა ბრძანა, პოლკის უფროსმა მთავრობას მოხსენება წარუდგინა. იგი აცნობებდა რომ ამ ცოტა ხანში მომხდარ ამბების გამო პოლკი დაშლილიაო, სამხრეთ დასავლეთის ფრონტის მთავარ სარდლისგან კვლავ მეორე ბრძანება მიიღეს ფრონტზე გასვლის შესახებ. რადის მთავარ სეკრეტარიატმა იმსჯელა მდგომარეობაზე და დაადგინა, რომ პოლკი მოვალეა აასრულოს სამხედრო ბრძანება და ფრონტზე გავიდეს.

# პოლონელთა პოლიტიკურ ყრილობამ რადა აირჩია

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. მოსკოვში პოლონელთა პოლიტიკური ყრილობა შესდგა. იგი დემოკრატიამ და პოლონელთა ნაციონალურ კომიტეტმა შეადგინა. ყრილობაში არ მონაწილეობდენ: პოლონელთა უპარტიო ინტელიგენცია, მრავალი გამოჩენილი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწე, პოლონელთა სხვა და სხვა საზოგადო ორგანიზაციების წარმომადგენლები, მაგალითად, არ დაესწრნენ ომში დაზარალებულთა დამხმარე საზოგადოების წარმომადგენლები, მოსკოვის პოლონელების კომიტეტის და აგრეთვე პოლონელთა რომაულ-კათოლიკების სამღვდელოების უმაღლესი წარმომადგენლები. საგანგებო მოწოდებებით უარი განაცხადეს მონაწილეობაზე: პოლონელთა სახალხო მუშების კავშირმა, უკრაინის პოლონელთა კავშირის ცენტრალ კომიტეტმა, დემოკრატიულ კლუბებმა, პოლონელთა სოციალისტურ ფრაქციამ, (მშრომელთა რევოლიუციონური ფრაქცია) გლეხთა საბჭომ, პოლონეთის დამოუკიდებლობის მსურველ ჯგუფმა, პოლონელთა სოციალისტურ პარტიამ, (მემარცხენე) პოლონეთის სახელმწიფოს და ლიტვას სოციალ-დემოკრატიამ. ყრილობამ ისარგებლა ხალხის წარმომადგენლობის უფლებით და რადა აირჩია. ყრილობის რეზოლუციამ, რომელიც დროებით მთავრობის აქტთან პოლონელთა განწყობილებას ეჭვში სტოვებდა. და სჯა-ბაასის დროს მთავრობის დამოკიდებულებას ნათლად ხატავდა, პოლონელთა ფართე წრეებში დიდი აღელვება გამოიწვია.

# რუსეთი და უცხოეთი

**სარატოვი.** მკათათვის 29. სასურსათო კრიზისის გამო ვოლსკში მოხდა საერთო კრება ყველა რევოლიუციურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა, რომელმაც ... 13 საათი. გამოირკვა, რომ პური ეყოფა ქალაქს მარტო 3 დღე, გლეხებს პური არ შემოაქვთ, ნავები ცარიელები მოდის. კრებამ დაუყოვნებლივ დაჰყო ქალაქი ნაწილებად და მოახდინა საყოველთაო ჩხრეკა. აღმოჩნდა აუარებელი მიმალული პური, შაქარი და მანუფაქტურა. ერთს მოქალაქეს უპოვნეს 3 000 წყვილი ფეხსაცმელი.

**ბილლი სახალხო განათლებაზე.**

**ლონდონი.** მკათათვის 28. სტონფიშერმა შეიტანა ბილლი საზოგადოებათა პალატაში სახალხო განათლების რეფორმის შესახებ: ომის შემდეგ ყველა ბავშვებმა უნდა იარონ სკოლაში 14 წლამდის და მას შემდეგ 15 წლამდის სხვა რომელიმე უფრო ვრცელ პროგრამიან სკოლაში.

**კერენსკის პასუხი.**

**პეტროგრადი.** მკათათვის 31. საპასუხო ტელეგრამა კერენსკისა ინგლისის კაროლის ტელეგრამაზე. დროებითი მთავრობისა და რუსეთის ხალხის სახელით ნებას ვაძლევ ჩემ თავს გამოვუცხადო თქვენს უდიდებულესობას მადლობის გრძნობანი იმ სიმპატიათა განცხადებისათვის, რომლებითაც ინგლის ჩემდამი მომართვა ომის მეოთხე წელში გადასვლის დღესა. რუსის ხალხი, დარწმუნებული ვარ ამაში, დასძლევს ყოველ გასაცდელს და მიიყვანს მსოფლიო ომს იმ შედეგამდე, რომელიც გამოისყიდის იმ მებრძოლთა მსხვერპლთ, რომელნიც უფლებისათვის იბრძვიან ძალის წინააღმდეგ.

**ჩეხეთი რევოლუციის წინ.**

**ციურიხი.** მკათათვის 29. პრაგიდან იტყობინებიან: გაზეთები იწერება 6 დიდ აჯანყებას ჩეხიაში. ყველგან გაისმის ძახილი: როდის გამოვა სარევოლიუციო პროლეტარიატი სამოქმედოთ. დემონსტრაციები გამოწვეულია ხალხის უკიდურესი განწირულებისაგან. მთავრობამ მთელი ჩეხია აქცია საასაფლაოდ. ასეთივე მოძრაობას ამბობენ მორავიაში.

**ერთმორწმუნეთა ყრილობა.**

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მკათათვის 20. სრულიად რუსეთის ერთმორწმუნეთა ყრილობამ მიიღო რამდენიმე მოხსენება მონასტირების, ეპარქიების და ერთმორწმუნეთა სამრევლოს რეფორმისა და საკითხების შესახებ მოხსენებები. მოახდინეს სრულიად რუსეთის ადგილობრივ საეკლესიო კრებისთვის 10 წარმომადგენლის არჩევანი. დანიშნეს დამფუძნებელ კრებისათვის 4 კანდიდატი ძველ ჩვეულებათა და საეკლესიო წესების ხელშეუხლებლობაზე. ყრილობამ შემდეგი რეზოლიუცია გამოიტანა: „კონსტანტინეპოლი, როგორც ძველი საეკლესიო-კულტურული ცენტრი, არა მარტო საბერძნეთის, არამედ მთელ სამხრეთის სლავიანებისა,—რუსეთის ეკლესიის ძვირფას სანატრელადაა მიჩნეული, ამიტომ მთავრობამ ყოველი ღონისძიება უნდა იხმაროს, რომ ძლევამოსილ მოკავშირეებთან ერთად, ქრისტიანთა ეს ძველი წმიდა ადგილი მართლმორწმუნე ბერძნებისა და მათ პატრიარქის ხელში დარჩეს. სრულიად რუსეთის „სტარო-ობრიადცების" მე-2 ყრილობა სურვილს გამოსთქვამს, რომ შემდეგში ეს წმიდა ადგილი რუსეთის მთავრობის ქვეშ იმყოფებოდეს. ყრილობაში მონაწილეთ, საქმის დათავების შემდეგ, თავმჯდომარე ეპისკოპოზს ანდრიას უფემელს მიართვეს ხატი და ადრესი

# † გიორგი ზდანოვიჩი.

მხცოვანი საზოგადო მოღვაწე, ს. ფედერალისტების პარტიის ცნობილი ლიდერი, ქართველი პუბლიცისტი გიორგი ფილიპსის ძე ზდანოვიჩი (მაიაშვილი), მკათათვის 31-ს, საღამოთი გარდაიცვალა ქუთაისში.

# ქრონიკა

## თბილისი

**ქალაქის არჩევნები.** ქალაქის გამგეობაში სოციალისტ დემოკრატებმა გაიყვანეს 50 ხმოსანი. აქედან ქართველია 23. დაშნაკცუთიუნებმა 24. სოციალისტ-რევოლიუციონერებმა 20. კადეტებმა 7. ბოლშევიკებმა 7. ეროვნულ-დემოკრატებმა 4. სოციალისტ-ფედერალისტების და უკრაინელების შეერთებულმა ბლოკმა 4. ებრაელებმა 1 და მუსულმანთა ეროვნულმა პარტიამ 4. საერთოდ ქალაქის გამგეობაში არჩეულია 38 ქართველი, სომეხი 47, რუსი 17, ებრაელი 6, თათარი 5, უკრაინელი 2.

**მანუფაქტურის კრიზისის გამო.** გამოაშკარავდა, რომ მრავალი სპარსელი ჩამოდის თფილისში, ჰყიდულობს ჩხვა და სხვა მანუფაქტურას და ჩუმათ ქალაქიდან გააქვს.

**ქურდობა.** მკათათვის 28 გაუქურდავთ ვლადიმირ ყოგანი. მოუპარავთ ნივთები ღირებული 4552 მან. 22 კაპ.

— ანდრეევის ქუჩაზე (სახლი № 6) გაუქურდავთ ა. მაშინინი. მოუპარავთ სხვა და სხვა ნივთები და ფული, საერთოდ 2000 მ.

**ფრანგ სანიტრის მოკვლა.** ბაღ „მონ-პლეზირში" მიხეილის პროსპექტზე ქეიფობის დროს პრაპორჩიკმა ივანე რევაზის ძე აქვსაშაძემ რევოლვერით მოჰკლა ფრანგი სანიტარი ვიქტორ გოდმონი.

**პურის კრიზისი თბილისში.** თბილისში უპურობა კვლავ გრძელდება. ქართველმა მეთორნეებმა თბილისის სასურსათო აღმასრ. კომიტეტს სთხოვეს ნება დართონ პურის გაყიდვისა იმ ფასებში, რა ფასშიაც ისინი ფქვილს ყიდულობენ.

**ლტოლვილთა შესახებ.** აღმასრულებელი კომიტეტი ლტოლვილთა მოწყობისა აუწყებს ქართულ საქველმოქმედო საზოგადოებას, რომ ლტოლვილთა ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადასვლა აკრძალულია, თუ ამისთვის წინ და წინვე სათანადო ნებართვა არ იქნა აღებული ზემოხსენებულ აღმ. კომიტეტისაგან. ამ ზომით სურთ ლტოლვილთა შესახებ დანამდვილებითი ცნობები შეკრიბონ

**ახალი წიგნი.** „საქართველოს" რედაქციამ მიიღო ლეო ქიაჩელის მოთხრობა „ტარიელ გოლუა". წიგნი კარგი გამოცემულია შეიცავს 180 გვერდს და ღირს 2 მანათი.

**მეცხვარეთა კრება.** თბილისის სამეურნეო ბანკის შენობაში მარიამობისთვის 5 შესდგება მეცხვარეთა კრება.

**სურსათის მიღება.** მკათათვის 31 სადგურ თბილისში მოვიდა 12 ვაგონი ფქვილი. ხოლო მარიამობისთვის პირველს 7 ვაგონი ფქვილი და ერთი ვაგონი შაქარი.

**ქალაქის კომიტეტი.** პირველ აგვისტოდან გაუქმდა ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტი. მისი საქმეები გადაეცემა ქალაქის ახალ საბჭოს.

**თაფლის კვახი.** ნიხრის თანახმად უნდა გაიყიდოს 25 კ. ბოთლი. ვაჭრებმა, რომ ნიხრს გვერდი აუარონ, დაარქვეს მას იაპონიის ლუდი და 35 კ. ყიდიან ბოთლს.

**პური.** მე-11 რაიონის სასურსათო კომიტეტმა მოაწყო პურის გამოცხობა.

**საგუბერნიო სასურსათო გამგეობის** წევრი ფ. რუმოვი ბორჩალოს მაზრიდან დაბრუნდა, სადაც ყველი და ერბო უნდა შეესყიდა. როგორც მას გამოუკვლევია ამ სანოვაგეს ვეღარ შეიძენენ რადგან პატრონები თვის ქერხნებს ჰყიდიან თურმე, საქონლის თივა აღარ დაარჩინეს მცხოვრებლებმა და სულ დაიტაცეს. ბ. ფირუმოვმა სამსახურიდან გადადგომის თხოვნა შეიტანა.

## კავკასია

**დამფუძნებელ კრებისთვის.** დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის საგანგებოდ შემდგარ საბჭოს დადგენილებით კავკასიისთვის საუბნო, სამაზრო და საგუბერნიო კომისიები იქნება დაარსებული. თვითეულ კომისიაში ექვს-ექვსი წევრი შევა. საუბნო კომისიებში საქმის წარმოება ორს ენაზე იქნება—რუსულზე და უბნის უმრავლესობის ენაზე. ორ ენაზე აწარმოებენ აგრეთვე როგორც არჩევანთა ისე ამომრჩეველთა სიების. ამ კომისიების გარდა კავკასიაში დაარსდება აგრეთვე ორი ცენტრალი კომისია: ამიერ კავკასიის ცენტრალ კომისიაში შედის 6 წევრი ამიერ კავკასიის საგანგებო კომიტეტის წარმომადგენელი, სასამართლო პალატის წარმომადგენელი და თითო წარმომადგენელი რუსების, მუსულმანების, ქართველებისა და სომხების. მეორე კომისიაში კი, რომელიც მთელ სახელმწიფოსთვის იქნება, შევა 24 კაცი. ამ კომისიაში სხვა და სხვა ეროვნების წარმომადგენლების გაგზავნაც შეიძლება.

**შავი ჭირი.** კერძო დეპეშებით გვატყობინებენ, რომ ახალ გავაზში საქონლის შავი ჭირი მძვინვარებსო. თურმე მინდვრებზე და ალაზანში რამდენიმე ალაგას უნახავთ გატყავებული საქონელი გადაყრილი. მდგომარეობა მეტად შემაძრწუნებელია.

**საქალაქო არჩევნები ალექსანდროპოლში.** ქალაქის გამგეობაში დაშნაკელებმა გაიყვანეს 35 ხმოსანი, სოციალისტთა ბლოკმა 13, ბოლშევიკებმა 10, კადეტებმა 1, უპარტიო არა სოციალისტებმა 1.

**სოფლის კოოპერატივების მდგომარეობა.** დანამდვილებითი ცნობებით გავიგეთ, რომ სოფლის კოოპერატივების მდგომარეობა მეტის მეტად შევიწროებულია. გუბერნიის სასურსათო კომიტეტი ამ კოოპერატივებს საჭიროდ არ აძლევს სურსათს და მით კოოპერატივების მოქმედება თითქმის შეჩერებულია.

**ნავთის სამეფოში.** ამიერ-კავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი დეპეშით ატყობინებს შრომის მინისტრს სკობელევს, რომ ბაქოს ფაბრიკა-ქარხნებისა და სამრეწველო დაწესებულებების აღმასრულებელ კომიტეტების ცნობით მუშები საყოველთაო გაფიცვით იმუქრებიან, ვინაიდან კოლექტიური ხელშეკრულების ცხოვრებაში გატარება არ მოხერხდა. უთანხმოების გამოსარკვევათ ბაქოდან თბილისში გამოიწვიეს შემთანხმებელ კომისიის წევრები.

## საქართველო

**კოოპერატივის გაქურდვა.** სოფ. წედის-არადეთ-სადგომშნის კოოპერატივი „სხივი" გაუქურდავთ ბოროტ-განზრახველებს 11 მკათათვეს. „სხივი" ჯერ ნორჩია. სულ სამი ოთხი თვეა, რაც სოფელში შეიქმნა.

25 მკათათვეს დაბა ცხინვალში მილიციონერებს ერთი ბოროტ-განზრახველი შეეპყრათ ცხენზე გადაკიდებულ „სხივის" ფართლეულ-წვრილმანით. 146 თუმნის საქონლიდან მას 54 თუმნის საქონელი აღმოაჩნდა. იმედოვნებენ, ცხინვალის კომისარი დანარჩენ საქონელსაც აღმოაჩენს. მათ სასახელოთ უნდა ითქვას, რომ გაზაფხულზე ჩვლევის კოოპერატივის ქურდებიც მათ ცხინვალში აღმოაჩინეს.

## ქუთაისი.

**გუბერნიის აღმასრულებელ კომიტეტმა** დამფუძნებელ კრების საარჩევნო კომპანიის საწარმოებლად მიიღო ათასი მანეთი. ამავე მიზნით სამაზრო კომიტეტებს დაეგზავნა ათას-ათასი მანეთი.

**შაქრის გაზიდვა.** ქუთაისიდან ახალციხეში შარაგზით მალულად აუარებელი შაქარი გააქვთ. ფუთი შაქარი იქ იყიდება თურმე 70 მან. საჭიროა სასურსათო კომიტეტმა ზომები მიიღოს ამის წინაღმდეგ.

**აკაკი ჩხენკელის დეპეშა.** სამურზაყანოს გლეხებმა დააპატიმრეს დაატყვევეს მ. ემუხვარი, რომელიც თავის დასავლეთ მოქმედებით დიდ უკმაყოფილებას იწვევს მცხოვრებთა შორის. ამის გამო ა. ჩხენკელმა შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა სამურზაყანოს გლეხებს: „დაბეჯითებით გთხოვ სამურზაყანოს გლეხებს, მის რევოლიუციონურ ორგანოების სახით, გრიგოლ ემუხვარის ხსოვნის პატივსაცემლათ, რომელმაც თავისუფლებასა და საკაცობრიო იდეალებს უცხო მხარეში შესწირა თავისი ახალგაზრდა სიცოცხლე, ნუ დაატყვევებთ მის მამას მელიტონს. მე კარგათ მესმის გლეხების აღშფოთება, მესმის ისიც, რომ მ. ემუხვარი ღირსია უსასტიკესი სასჯელისა, მაგრამ ის მამაა ჩვენი ძვირფასი გრიშასი, რომელსაც სპარსეთის დემოკრატია რევოლიუციონურ დიდების ძეგლს უდგამს. ვსთხოვ სამურზაყანოს გლეხებს ჩემი თავდებობის ქვეშ განთავისუფლონ მ. ემუხვარი იმ პირობით, რომ თუ მან კიდევ ჩაიდინა რევოლიუციისა და ახალი წყობილების წინააღმდეგ რამე, მაშინ მას დასჯიან რევოლიუციონური ხალხის შეუბრალებელი სასჯელით".

## პროვინცია.

**სოფელ მარტყოფში** კვირას, 23 მკათათვეს დასდგეს მარტყოფის სამკითხველოს სასარგებლოთ აქაურმა სცენის მოყვარეებმა სამ მოქმედებიანი დრამა „გამცემი" გედევანიშვილისა. და კომედია „ახირებული" თარგმანი ყიფიანისა. წარმოდგენამ მშვენივრად ჩაიარა, ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო.

**ხ. ერწო.** თითქმის ორი თვეა სრულდება აქეთ გამუდმებული გვალვა არის. სიმინდი ლობიო და ფეტვი სულ გადახმა. სთიბს, პურს და გაზაფხულის ნათესს ქერს არა უშავს რა, საშუალოზე მეტია. თიბვა და მკა ორივე ერთმანეთს მოჰყვა, მხოლოდ მუშა-ხელი არ არის. თუ სადმე იშოვება მუშა, ოთხ-ხუთ და ექვს მანეთ ნაკლებ არ მუშაობენ, როგორც ეტყობა უპატრონობით ბევრი ჭირნახული დარჩება მინდორში. გუთნის ალოს აქეთ სამ თუმან ნაკლებ არავინ იძლევა, ახლა მისი ხარჯი; ამიტომ მოშენებული მიწა კვლავისთვის უხნავი რჩება. აქეთ სოფლებში საქონლის ჭირი მძვინვარებს პატრონი არსად არის, ბევრგან წითელა-ქუნთრუშა და ყვავილაც არის.

# ქიათურის მთამადნის შესყიდვა

ჰელზენკირხენისა და „კავკასიის სამთამადნო საზოგადოების" მამულების სალიკვიდაციოდ დანიშნული იყო „განსაკუთრებული სალიკვიდაციო გამგებლობა, რომელშიაც შედიან 6 სამინისტროს წარმომადგენელი და მე-7 თავმჯდომარე.

ამ გამგებლობას ზემოხსენებულ მამულების ლიკვიდაცია 3 კვირაში უნდა მოეხდინა, მაგრამ როგორც შემდეგში გამოირკვა, ეს ვადა ერთობ მოკლე გამოდგა. ამ ჟამად მამულები და ქონება მიღებული და აღწერილია. ჰელზენკირხენის საზოგადოების მამულები 380 დესეტინის სივრცისაა, ხოლო „კავკ. სამთ. საზ—ებისა"—180; სულ კი 600 დესეტინამდე. 9 მილიონი ფუთი ქვანახშირი დამზადებულია ჰელზენკირხენისა, 2600000 მან. ღირებული, ხოლო 2 მილიონი ფუთი „კავკ. სამთამადნო საზ."—სა, 2180000 მან. ღირებული. „კავკ. სამთამადნო საზ—ების" ქონების ერთი მეოთხედი ინჟინერ ბარონ პაპავასი ყოფილა და ეს ნაწილი არ გაიყიდება, მიუხედავად იმისა, რომ წინად შეცდომით ბარ. პაპავას წილიც სალიკვიდაციოდ იქნა დანიშნული. მაისის 20-დან ქიათურის სალიკვიდაციო მამულების ბედი „სახაზინო გამგებლობაში" გადავიდა; მამულები გადაეცემა სააქციონერო საზოგადოებას, რომლის აქციებიც უნდა დაიყოს რუსეთის შიდა გუბერნიელთა და ამიერ კავკასიელთა მრეწველთა შორის, ნაწილი კი მთავრობას უნდა დარჩეს.

ლიკვიდაციის ამ გზამ ამიერ-კავკასიის საგანგებო კომიტეტი ვერ დააკმაყოფილა და მან მთავრობის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, რომ სალიკვიდაციო გამგებლობაში ადგილობრივი წარმომადგენლები შევიდნენ.

# პასუხად ბ-ნ ე. პ. გეგეჭკორს

„საქართველოს" მკათათვის 22 ნომერში ბ. გეგეჭკორის წერილი იყო „ერთობიდან" გადმობეჭდილი. ბატ. გეგეჭკორი ამბობს: ეს ვაჟბატონები იმ მხედართა კატეგორიას ეკუთვნიან, რომელიც დადიოდა პეტროგრადში ერთი მოღვაწიდან მეორესთან და წარბშეუხრელად, **უსინდისოდ** (ხაზი ჩვენია) არწმუნებდა ყველა იმათ, რომ მე ვიყავი ავტორი და სულის ჩამდგმელი იმ აღმაშფოთებელ აქტების, რომელიც სალდათთა ბრბომ ჩაიდინა ს. ფედერალისტების წინააღმდეგ ქუთაისში, სამტრედიაში და სხვაგან". მეორე ადგილას ბ. გეგეჭკორი ბრძანებს: „თუ დრო ექნათ და წაიკითხეს ზემო მოხსენებულმა ამხანაგებმა (ჩხეიძეზე და წერეთელზე აქვს ლაპარაკი) ეს **უსინდისოთ** (ხაზი ჩვენია) მოჭორილი ამბავი, ისინი დარწმუნდებიან, თუ რა ღირსეულნი პირნი ბრძანებულან „დელეგაციის" წევრნიო".

როგორც მკითხველი ჰხედავს ბ. გეგეჭკორს ძალიან ჰყვარებია სიტყვა „უსინდისო" და წარა-მარა ისვრის მას.

ერთი ჰკითხეთ, ღვთის გულისათვის რითი დავიმსახურეთ მისგან ეს მშვენიერი ეპიტეტი? აზრი დაგვიმახინჯეთ, ცუდად გადმოეცით მისი სიტყვები ჩვენს ამომრჩეველ ჯარის კაცებს, ოფიცრებს და ქართველ საზოგადოებას? მერე რათა, რის გულისთვის?! ვიცნობთ, გვიცნობს, პირადი ინტერესები გვქონდა მასთან თუ როგორ იყო საქმე? რატომ ირაკლი წერეთლის და კარლო ჩხეიძის აზრი არ გადავეცით ნეტა? ან იქნებ ფიქრობთ, რომ ისინი თქვენზე გავლენიანი პირნი არიან და მათ ვერ გავუბედეთ აზრების გადამახინჯება? მართალია თქვენ ჩვენს დელეგატობას წინწკლებში სვამთ, მაგრამ იმდენს კი მოვახერხებდით რომ თქვენ მიერ გამოთქმული აზრი, მიგვეტანა სწორე ამომრჩევლებამდე. პირველათ მე და ჯ.-ქ. ხარებაშვილი ერთხელ და ორჯელ, ერთსა და ორ ალაგას არ ავურჩევიავართ სხვა და სხვა პარებთან დელეგატებათ და აქ ბათ გვიცნობენ და გვენდობიან ჩვენი ამომრჩევლები ასე რომ თქვენ მათ ვერ დააჯერებთ. იქნებ იმ ჟამად თქვენ ისე აღელვებული ბრძანდებოდით პეტროგრადის სამოქალაქო ომით, რომ აღარ დაგამახსოვრდათ რა გვითხარით და დღეს, როდესაც მას შემდეგ თითქმის თვენახევარმა განვლო სხვანაირად ამბობთ? დღევანდელ მომენტში თვენახევარი ხომ წლებს უდრის და ყოველ საათსაც კი ცხოვრებაში ცვლილება შეაქვს? თუ ეს ასეა და თქვენ ამას ანგარიშს უწევთ, თვით ყრილობის მოწვევის შესახებაც დღეს სხვა აზრს იზიარებთ, ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია მოგესალმოთ.

რაც შეეხება იმას რომ ჩვენ, პეტროგრადში ერთი მოღვაწიდან მეორესთან დავდიოდით და ვავრცელებდით თქვენზე ხმებს ვითომ „პოგრომები" თქვენ მოგვეხდინოთ სოც. ფედერალისტებზე ქუთაისში, სამტრედიაში და სხვაგან, უნდა მოგახსენოთ რომ მისამართი შეგეშალათ.— ჩვენ ბრძოლის ასპარეზზე ვართ. ცხრა მთას იქით, სამშობლოს მოშორებული და აბა საიდან უნდა გვცოდნოდა თუ დასავლეთ საქართველოში ვისი წყალობით მოხდა სოც.-ფედერალისტების დარბევა?

ამით ვათავებ ჩემს მოკლე პასუხს.

პატივისცემით

**ერთი დელეგატთაგანი.**

# სასამართლოს დაუდგენლათ დაპატიმრების აკრძალვა

დროებით მთავრობის სხდომაზე 19 ივლისს, იუსტიციის მინისტრის ეფრემოვის მოხსენების თანახმად, დადგენილ იქმნა შემდეგი:

რუსეთის სახელმწიფოს მართვა გამგეობის შეცვლის პირველ ხანებში საჭირო იყო წრეს გადასული და სწრაფი, მკაცრი ზომების მიღება. ახალი წეს-წყობილების გასამტკიცებლად და დასაცავად მის მტრებისაგან, ხოლო ამ ჟამად, როცა სახალხო მთავრობას მოქმედი კანონებითაც ადვილად შეუძლია დაიცვას ახალი წეს-წყობილება და ხალხისთვის მინიჭებული უფლება-თავისუფლებანი,—მოხმარება ასეთ იშ-

ვიათ ზომებისა სასურველი აღარ არის და ამიტომ დროებითმა მთავრობამ დაადგინა: აღიკრძალება ყველას, სამთავრობო და საზოგადოებრივ დაწესებულებებს და აგრეთვე მოხელეებს თუ კერძო პირებს ვისიმე დაკავება მოქმედ კანონების გარეშე ანუ შეზღუდვა ადგილ-საცხოვრებელ უფლებისა და თავისუფალ სიტყვისა. ისპობა მთელს სახელმწიფოში დებულება წესიერების დაცვისა საპოლიციო ზედამხედველობა და საგანგებო დაცვა რკინის გზებისა. სამხედრო მდგომარეობა რჩება მხოლოდ ომის განმავლობაში სამხედრო მოქმედების ადგილებში.

შემპყრობელნი მოვალენი არიან ერთი კვირის განმავლობაში მოახსენონ საგუბერნიო თუ საოლქო კომისიას ყოველი ცნობა დაკავებულის სავნო მოქმედების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია გასცემს ბრძანებას დაუყოვნებლივ გაანთავისუფლონ დაკავებული, თუ თვით არ მოეპოვება სხვა რამე ცნობები დაკავებულის სავნო მოქმედების შესახებ. ბრალმდებლის სასამართლოში გამოუცხადებლობამ არ უნდა დააბრკოლოს საქმის გარჩევა. ამ დადგენილების მოქმედება უქმდება დამფუძნებელი კრების გახსნის დღიდან, ხოლო შედის ძალაში სენატისაგან გამოცხადების დღიდან.

## სად არის ლენინი?

წინააღმდეგ გავრცელებული ცნობებისა, რომ ლენინმა თავს უშველა და გერმანიაში გაიქცაო, ახლა სარწმუნო წყაროებიდან იტყობინებიან, რომ ბოლშევიკების ლიდერი ცხოვრობს პეტროგრადში ანუ მის ახლო.

ხმებს, შესახებ ლენინის გაქცევისა გერმანიაში, ავრცელებდნენ თურმე თვით ლენინი და მისი მომხრენი, რათა, როცა დადგება ხელის შემწყობი დრო მისი დაბრუნებისა, შეეძლოთ სთქვან, რომ ყოველი ბრალდებანი, ლენინზე ნემცებთან კავშირის შესახებ, ისეთივე უაზრო და ტყუილი იყო, როგორც ცნობები მის გაქცევის შესახებ საზღვარ-გარეთ.

საპარტიო წრეებში ლაპარაკობენ, რომ ლენინი არც ისეთი სულელია, რომ თავისი გაქცევით სამუდამოდ სახელი გაუტეხოს თავის-თავს და თავის მიმდევრებს და მით დაამტკიცოს სიმართლე მასზე აღძრულ ბრალდებათა.

## კორესპონდენცია

### წერილი ქუთაისიდან

**პარტიათა შორის განწყობილება. სამღვდელოების საქციელი. საარჩევნო ფაცი ფუცი.**

ქუთაისი ერთობ ცოცხალი ქალაქია. განსაკუთრებით ეს სიცოცხლე მას დიდებული რუსეთის რევოლუციის შემდეგ მოემატა. დღე არ გავა, რომ ქუთაისის რომელიმე უბანში საგანმანათლებლო კრება არ გაიმართოს. ბჭობენ, მსჯელობენ დღიურ პროგრამაზე და ჩვენი ქვეყნის მომავალ ბედზე. სამწუხარო მხოლოდ ის არის, რომ ყველა ამ კრებებს პარტიული ხასიათი აქვს. ქართველი კაცის გრძნობა, აზროვნება ერთ დასკვნამდის ვერ მისულა, მოქმედების ერთი საერთო გზა ვერ გამოუნახავს. მადლობა ღმერთს ეს კი ეჩნევათ აქაურ დასებს, რომ საჯაროდ ერთი-ერთმანეთს უდიერად აღარ ეპყრობიან. საქმის თანდათანობით გამოკვეთებისათვის ეს ძრიელ კარგი ნიშანია, მაგრამ შეთანხმებისათვის ასე კუს ნაბიჯით სიარულს დიდი დრო და ჟამი უნდა და დღევანდელი მომენტი და ცხოვრების მსვლელობა ამას არ ითმენს.

მართალია, როგორც საერთოთ მთელს საქართველოში, ისე აქაც ეროვნული პარტიის მიმდევრები შეთანხმებული მუშაობისაკენ მოუწოდებენ დანარჩენ პარტიებს, მაგრამ ამ უკანასკნელებისაგან ენერგიულ გამოძახილს ძმობა-ერთობისაკენ ვერ ვხედავთ. რა მოხდა, რამ დააბნო ქართველი კაცის გული ასე, რომ მშობლიური ქვეყნის ხსნას დღემდის ერთი საერთო გზა და კვალი ვერ გამოუნახა. შენ ჩემობამ დაღუპა საქართველო მეთვრამეტე საუკუნის მიწურულში, და ვაი თუ ამ ძველმა სატკივარმა არც ეხლა დაგვყაროს მას კარგი დღე.

სხვათა შორის 12 მკათათვეს აქ სამღვდელოთა კრება გაიმართა. კრების უმთავრესი მიზანი ავტოკეფალიის საქმის მოგვარება იყო. უნდა გულახდილად მოგახსენოთ, რომ ავტოკეფალია მე საქართველოს ავტონომიის საფუძვლად მიმაჩნია. საუბედუროდ ეს ყველას ასე არ ესმის. სამღვდელოების წარმომადგენლებმა დელეგაცია გამოსჭიმეს და კავკასიის კომისარიატს აახლეს: არიქა გვიშველეთ, შიმშილით ვიხოცებით და რამე „პოსობიე" მოგვეცითო. მერე, მკითხველო, წარმოიდგინე ამ შიმშილზე სულ მდიდარი და უშვილო სამღვდელოება გაჰკივის. სამღვდელოების ასეთი მოქცევა დიდ უტაქტიკობაში უნდა ჩაითვალოს. სიძვირე და ნივთიერი სიდარიბე ყველას დიდათ გვაწუხებს, მაგრამ საერთო საშვილიშვილო საქმის გაკეთებამდის ამას მოთმინება უნდა. ქართველმა სამღვდელოებამ უნდა იგრძნოს თუ როგორ გვევაჭრება სინოდი და დროებითი მთავრობა ავტოკეფალიის საქმეში. ამ ვაჭრობაში ის მოიგებს ვინც სულით მდიდარია და ამ სიმდიდრეს კი იმერეთის სამღვდელოებამ თავის აჩქარებული ნაბიჯით ერთგვარი ნიადაგი გამოაცალა. აგრეთვე აღსანიშნავია იმერეთის სამღვდელოების წარმომადგენლების ავტოკეფალიის საქმისათვის არსებული გულსაკიდი ჯვრების შეწირვის გაუბედაობა. თითო თუმნიან ჯვრებს ვერ გამოითხოვენ მღვდლები საერთო სამსხვერპლოზე მისატანად. ახლო მომავალში ხომ მაინც შეცვლილი უნდა იქნეს ეს არსებული ჯვრები და მათ მაგიერ ქართველთ განმანათლებელის წმიდა ნინოს ჯვარი უნდა ატარონ მღვდლებმა, და რა დიდი საქმე იქნებოდა ორიოდე თუმნის ვერცხლს გამოთხოვებოდა სამღვდელოება?! ვაი ჩვენს დაკინებას, ჩვენ დაბეჩავებას! მართალია ჩვენი ხალხი, როდესაც ამბობს, რომ სამღვდელოებას აღება სურს და გაცემა სძულსო. ამავე კრებაზე ერის წარმომადგენლებმა მღვდლების გადადგომა და მათთვის ნდობა-უნდობლობის გამოცხადება მოითხოვეს, მაგრამ სამღვდელოება ამ განცხადებამ დააფრთხო და ყრუ გამოძახილით შეეგება.

აქ ამ ჟამად დიდ ფაცი-ფუცშია არიან საქალაქო არჩევნების გამო. ვნახოთ რომელი დასი გაიმარჯვებს.

**მ. ბუაჩიძე.**

### წერილი ახალციხიდან.

(ვინ თესავს უკმაყოფილებას მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის).

ახალციხის მაზრის მცხოვრებნი ქართველნი მაჰმადიანნი და ქრისტიანები დღემდე კარგს განწყობილებაში იყვნენ ერთმანეთში. ამ დიდ რევოლუციის დასაწყისშიაც კი ნათლად დაანახვა მათ, რომ საჭირო იყო ამ ერთის ჩამომავლობის, ერთის სისხლ-ხორცის ერის მჭიდროთ შეკავშირება. ამ ერის ორივ ნაწილი ამ რევოლუციის დღეებშიაც მეგობრულად ეპყრობოდა ერთმანეთს და სიყვარულით გამსჭვალული, მშვიდობიან ცხოვრებას განაგრძობდა. ეხლა კი ხშირად ებუტებიან და ეკინკლავებიან ერთმანეთს მამულებზე.

რა, ან ვინ არის ამის მიზეზი? რისგან მოხდა ასეთი ცვლილება? ვის უნდა დავსდოთ ბრალი? მთლად გასამტყუნარნი არ არიან არც მაჰმადიანი და არც ქრისტიანი ქართველნი.

მტრობას და ბოროტებას სთესავს მათში ისევ ჩვენი მეზობელი ერის ზოგიერთი შვილები, რომელნიც სიტყვით ძმობას და ერთობას ჰქადაგებენ, ვითომდა საერთო მშვიდობიანობისთვის მოუწოდებენ ხალხს, დემოკრატობენ და რუსეთის რევოლუციის გმირები ჰგონიათ თავიანთი თავი. საქმით კი ცდილობენ სხვა ერებთან წაგვჩხუბონ, შუღლი ჩამოაგდონ ჩვენსა და მათ შორის, ამოგვაჟლეტინოს ერთმანეთი. ცდილობენ დაგვასუსტონ იმდენად, რომ როცა თავზე ფეხი დაგვექიროს და ჩვენი გასრესა მოისურვონ, ჩვენ ძალა აღარა გვქონდეს წინააღმდეგობის გასაწევათ.

როგორ გავჩუმდეთ და ხმა არ ამოვიღოთ, როცა მათი სიბოროტე საფრთხეს უმზადებს როგორც ჩვენს ძმებს— ქართველ მაჰმადიანებს, ისე ჩვენც უნდა ითქვას, რომ კაცი ძნელად გაუგებს მათ ხრიკებს. გამოდიან და სახალხოთ აღიარებენ: ყველანი ძმები ვართო, მხოლოდ რაც ნამდვილად გულში უდევთ, იმას კი ჩუმ-ჩუმად ავრცელებენ, ფარულად ამხედრებენ ჩვენს წინააღმდეგ ჩვენსავე მოძმეებს.

ისეთს ქართველ ჯარისკაცს ვერ იპოვნით ახალციხეში, რომ წაქეზებული არ იყოს ჩვენი მტერ-მოყვარეებისგან. ეს ვაჟბატონები თურმე არწმუნებენ ქართველ ჯარისკაცებს და სოფლელებს, მაჰმადიანი ქართველნი თქვენი მტრები არიანო, იმათ სურთ თქვენი გარეკვა და მამულების დაჭერაო. თქვენი, ე. ი. სალდათებისა, თათრებს ეშინიანთო, წადით სოფლებში, მიიმხრეთ მცხოვრებნიც და დაესხით თავს მაჰმადიანებსაო, ან არადა წაართვით ძალით მზათ მოკილი ყანა ან თივაო. სწორედ ასეთივე დარიგებას აძლევენ ქართველ მაჰმადიანებსაც,—ქართველებს თქვენი დარბევა და გარეკვა სურთ და თქვენ დაასწარითო.

ერთს კიდევ დაევლო მაჰმადიანების სოფლები და ერჩა ხალხისთვის.—დაანგრიეთ ქართული სკოლები, რომლებიც ქრისტიან ქართველებმა მოგიწყესთო, იმათ თქვენი გაქრისტიანება უნდათო. ეს ფაქტია და დამემოწმებიან კიდეც მაჰმადიანთ სოფლების მცხოვრებნი.

ამ ზაფხულს იყო კიდევ რამდენიმე მაგალითი როცა ქრისტიანი და მაჰმადიანი ქართველნი ერთმანეთს დაერივნენ სათიბი ბალახის გულისთვის, რომელსაც ორთავე მხარე ჩემულობდა და შედეგად ის მოჰყვა, რომ მოკლულ იქმნა სამი თუ ოთხი ქართველი ჯარისკაცი.

რა უნდათ ჩვენგან? ვის რა დავუშავეთ, რომ სამაგიეროს გადაგვიხადონ? ან იმათ ხომ არ ჰგონიათ, რომ მარტო ჩვენ გვჩხვლეტენ და გვკბენენ?! არა, ისინი ხელს უშლიან აგრეთვე რუსეთის რევოლუციას, პროვოკაციას სწევენ და როცა საჭიროა ხალხის დამშვიდება, ისინი იმ დროს აღელვებენ მას.

ყველა მიხვდება თუ ვიზეა აქ ლაპარაკი და ვინ არიან ეს ეკლიანი ამრევდამრევნი. ისინი გახლავთ რამდენიმე დაშნაკცაკანი, რომელთაც ასეთი საქმეები გაუხდიათ აქ თავის ხელობათ. ეს აშკარაა. ურჩევნიათ გაფრთხილდნენ. ქართველებს არც ისე სძინავთ, როგორც იმათ ჰგონიათ, და შეძლება იმ სამარეში, რომელსაც ისინი ქართველებს უთხრიან, უწინ თითონ ჩავარდნენ.

საბედნიეროთ ქართველი მაჰმადიანნი უფრო მშვიდათ იქცევიან, ისინი უფრო ისე არ უგდებენ ყურს სხვის მტრულ დარიგებას და წაქეზებას როგორც ქრისტიანები; ამათ კარგად ესმით და დარწმუნებულნიც არიან, რომ ქრისტიან ქართველებს მათთვის სიკეთის მეტი არა უქნიათ რა და ეხლაც მზად არიან ხელი შეუწყონ მათი ცხოვრების გაუმჯობესობას. მაგრამ, რასაკვირველია, ქართველთა და მათ შორის იქნებიან ისეთნიც, რომლებსაც არ ესმისთ თუ ვინ არიან მაჰმადიანი ქართველნი, არ იციან მათი ჩამომავლობა, და ამიტომ მათ შორის უკმაყოფილობის ჩამოგდებაც ადვილია.

სწორედ ამით სარგებლობენ დაშნაკცაკანები და მოზხამულ ენას უფრო გაბედულად ამოძრავებენ.

საჭიროა აეხსნას მცხოვრებლებს და ჩაეგონოს მაჰმადიან და ქრისტიან ქართველებს მათი ვინაობა, თუ რა დამოკიდებულება უნდა ჰქონდესთ ერთმანეთში, და რომ მათ შორის უსიამოვნობა მხოლოდ დაღუპავს ორთავე მხარეს, და კარგს კი არაფერს მოუტანს.

საჭიროა დროზე ეშველოს საქმეს დროზე მიეტანოს და ჩაეგონოს სოფლის მცხოვრებლებს, სანამ ამ არასასიამოვნო ამბავს კინკლაობის და ბუტიაობის ხასიათი აქვს, სანამ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველთა შორის ჯერ კიდევ სიყვარული და ხათრი სუფევს, თორემ როცა ბუზანკლები სურვილს მიაღწევენ, მაშინ ძნელი და იქნება საქმის გამოკეთება.

ეხლა მეტ წილ სოფლებში სრულებით არავინ არის, რომ ამის შესახებ ხალხისთვის იზრუნოს. არც ამ რევოლუციის დროს ულაპარაკნია ვისმე ამ საგანზე; ყოფილან სოფლად მოსიარულე მოლაპარაკენი, რომლებსაც აუხსნიათ ხალხისთვის მნიშვნელობა რევოლუციისა, მისი შედეგები, მოუწოდებიათ ხალხი ერთობისთვის და სხ., მხოლოდ კერძოდ მაჰმადიან და ქრისტიან ქართველების შესახებ კი არაფერი უთქვამთ.

**მიხ. ონოფრიშვილი.**

### წერილი რედ. მიმართ

**სურამში მომხდარ ამბების გამო.**

(სოფლის რევოლუციის დღიურიდან).

სურამის 14 მაისის ამბავმა, როგორც პარტიებთა შორის ისე მთლად ჩვენი საზოგადოების მიერ დიდი აურზაური, ეჭვი და გაუგებრობა გამოიწვია; სოფლის კორესპონდენტებმა, როგორც დაინტერესებულმა პირებმა თავიანთ წერილებში ვერ გამოიჩინეს მიუდგომლობა, ხსენებული ამბავი ცალმხრივად გააშუქეს და მით მკითხველი შეცდომაში შეიყვანეს.

იმავ მკითხველმა ჩვენიც მოისმინოს, რომ მით უფრო შეიძლოს სამართლიან განაჩენის დადგენა.

ღმერთმა ნუ ქნას, რომ ახირებულ კორესპონდენტების სიტყვა, ვითომ ხუთი ათასიან მცხოვრებ დაბაში მხოლოდ ხუთი პირი იყვეს რევოლუციის მომხრე და დანარჩენი ხულიგანი და კონტრ-რევოლუციონერი, მართალი გამოდგარიყვეს, თორემ ამ დღინი ხნის ნანატრი თავისუფლება ხომ ხელიდან წაგვივიდოდა და სულ დაღუპული შევიქნებოდით!!

დღემდის ამ ამბის დამნაშავედ აღიარებულ პირებს არც სიტყვით და არც თუ წერით ხმა არ ამოუღიათ. ისინი ჯერ საქმის გამოძიების დასრულებას და სიმართლის გამორკვევას უცდიდენ, და აი როდესაც გამოძიება დასრულდა და გაუგებრობით შეპყრობილნი უდანაშაულოდ იქმნენ ცნობილნი და განთავისუფლებულნი, როდესაც ხსენებულ გამოძიების ოქმები და მისი შედეგი წინ გვიდევს, სწორედ ახლა შეუძლია ყველას ხსენებულ ამბის შინაარსი თავიდან ბოლომდის განჩხრილოთ და თამამად აღვიაროთ, რომ მომხდარი ამბავი თვით კორესპონდენტების წინასწარ მოფიქრებით მომხდარი ხრიკებია!

ნათლად, რომ გამოირკვეს ხსენებულ ამბის ფაქტები, საჭიროა მოკლედ აღნიშნოთ, როგორც თვით ამბის ისტორია აგრეთვე მისი დამოკიდებულება წარსულ მათ მოქმედებასთან, რადგან პირველი მხოლოდ შედეგია მათი წარსულ ნამოქმედარ საქციელისა.

სურამში იმ თავიდანვე არსებობს სხვა და სხვა კულტურული დაწესებულება—კოოპერატივი, წვრილი კრედიტი, სამკითხველო და სხვა; ამ დაწესებულებებს განაგებს ადგილობრივ საზოგადოების ერთი ჯგუფი, რომელიც ხსენებულ დაწესებულებების მართვა-გამგეობაში იმ თავიდანვე რაღაც ჯიუტობას იჩენდა, საზოგადოებას თავის მოქმედებაში არაფერ ანგარიშს არ აძლევდა და ყოველთვის თავის ქონიან სურვილის მოსაკლავად მუშაობდა. ამ გვარ მოქმედებას მაშინდელი თვითმპყრობელობის დროც ხელს უწყობდა და აბა ხალხს რა წინააღმდეგობა შეეძლო მათთვის გაეწია. რამდენჯერმე მოსთხოვეს ყველა დაწესებულებების წლიური ანგარიში წარმოედგინათ ხალხისთვის, მაგრამ ისინი მაინც ყურს არ იბერტყავდნენ და თუ ვინმე კერძოდ ხმას ამოიღებდა და ანგარიშს მოითხოვდა, მაშინ ვაი იმის ბრალი: ის კოოპერატივიდან ან სულ არაფერს მიიღებდა, ან თუ მიიღებდა, ისიც ყველაზე ნაკლებს. ხალხს კოოპერატივის იმედი ჰქონდა არ დამშეულიყო, მაგრამ ეს უკანასკნელი უდროვოდ იკეტებოდა და უდროვოდ იღებოდა, და როცა ამის შესახებ კერძოდ წილაპარაკებოდენ მეთაურებს ისინი უპასუხებდენ: „ჩვენ ხომ ჯამაგირს არ ვიღებთ, რომ ვალდებულები ვიყვეთ დილიდან საღამომდის გემსახუროთო". არ გვინდა თქვენი სამსახური, უპასუხებდა ხალხის ხმა, მაგრამ „ძალათი მაცხონეებს" დაკარგული ჰქონდათ ყოველივე თავმოყვარეობა და ხალხის ასეთ უკმაყოფილებას არაფერ ყურადღებას არ აქცევდენ.

ამავე ჯგუფმა წვრილ კრედიტს მუშაობის ნიადაგი მოუსპო, უყურადღებოდ მიაგდო, გაჭირვებულ გლეხ კაცს სესხის მიცემა მოუსპო, და შეგროვილი ფული ადგილობრივ კლუბს მიასესხა, რომ იგი არ დაკეტილიყო და არ მოსპობოდათ საშუალება ბილიარდის და კარტის თამაშისა.

ამავე ჯგუფმა მოსპო და მიკეტა ადგილობრივი 30 წლის ნაარსებარი სამკითხველო და დღეს ხალხმა არ იცის სად წაიღეს ას თუმანზე მეტი ღირებული რუს წიგნთა და დაგვით შეძენილი წიგნები.

აი ამ წვა და დაგვას იტანდა ადგილობრივი საზოგადოება საზოგადოება ხსენებულ ჯგუფიდან, რომელიც მის დაუკითხავად ყველა კულტურულ დაწესებულებას საპავეში მოექცა და თავის ნებაზე თარეშობდა! სადაურები არიან ამ ჯგუფის წარმომადგენლები არავინ იცის, და რომ გუშინ ჩამოვიდნენ სათითად ყველა მათგანი, ეს ყველამ ვიცით; აგრეთვე ისიც ვიცით რომ არც ერთი მათგანი ხალხს თავის წარმომადგენლად არც ერთ ადგილობრივ დაწესებულებაში არ ამოურჩევია და თავისი რწმუნება მათთვის არ ჩაუბარებია. იმან უფრო აამხედრა ხალხი, რომ ამ ვაჟბატონებს იმდენად დაჰკარგოდათ თავმოყვარეობა, რომ ხალხის დაუკითხავად შინაურ მართვა-გამგეობას ეწეოდენ და ანგარიშის ჩაბარებას კი არ კისრულობდენ. ამან გაუშრო ხალხს სისხლი და მოთმინების ფიალა აევსო. ამ დროს უცბად თვითმპყრობელობის ჯაჭვის დამსხვრევის ხმა გაისმა და თავისუფლების შუქმა არე მარეს შემოანათა. სწორედ რვა მარტი იყო, რომ სურამის საზოგადოებას, ერთად თავმოყრილს, სურდა ახლად გამოცხადებულ თავისუფლებას მისალმებოდა, თავის ცხოვრება განახლებულ გზით მოეწყო. მაგრამ ხსენებულმა ჯგუფმა აქაც არ მოისვენა. კრების დროს ერთმა მათგანმა სრულიად უმიზეზოდ ერთი მაგარი სილა გააწნა ერთ პატივცემულ ადგილობრივ ვაჭარს, რის გამო ხალხი აქეთ-იქით გაიფანტა. ჯგუფმა ამით ისარგებლა, თავისთვის ცალკე კრება გახსნა 30 კაცის თანადასწრებით და თავიანთ თავი კომიტეტის წევრებად გამოაცხადეს. ამაც ზედ დაუმატეს, რომ ამორჩეულებმა ერთი კვირის განმავლობაში უნდა მოიწვიონ მრავალ რიცხოვანი კრება და კომიტეტის წევრების არჩევა იქ უნდა მოვახდინოთო. ხალხს ამას საწინააღმდეგო რა ექნებოდა, დაემორჩილა მათ განცხადებას, და კრების მოლოდინში სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

ამის შემდეგ რას ხედავს ხალხი? იმას, რომ ხსენებულმა ჯგუფმა თავის დაპირება—ახლო მომავალში კრების მოწვევა და კომიტეტის წევრების არჩევა გააბათილა, იმას რომ ამავე ჯგუფმა ძალდატ ნებას მოუმატა, და ყველას, ვინც ხმას ამოიღებდა დატუსაღება დაუწყო! დაიჭირეს უმიზეზოდ ერთი, მეორე მესამე, მეოთხე და მეოცეს დაემუქრნენ. ვერვინ ელირსა ადამიანურს მოპყრობას, იყო მუდამ ყვირილი, ლანძღვა და გინება, გამვლელ-გამომვლელის უთავბოლო დაჯარიმება; თავის განკარგულებაში გადიტანეს სასოფლო სასაკლაო და სასწორი, რომლებიდანაც სოფელს ორას-სამას თუმნამდის ჰქონდა შემოსავალი წელიწადში და მათგან ხალხმა ვეღარც ერთი კაპიკი ვერ დაინახა. სად მიდიოდა ეს ფული, რაში იხარჯებოდა, შან არაფერი იცოდა. კოოპერატივის ერთი ფურნე, სადაც უთავდარიგოდ პური ცხვებოდა, ხალხს არ ყოფნიდა და შიმშილს განიცდიდა, რის გამო ხალხი სთხოვდა კერძო პირებისთვისაც მიეცათ ნება პურის ცხობისა, და დაწესებულ ნიხრით გაყიდვისა, მაგრამ მათ ნება არავის მისცეს. ხალხის მესვეუნი უხვდებოდენ მეფართლე ებრაელებს, არ მეედენ ფართალს და წართმეულს კოოპერატივის მაღაზიაში თავის ნებაზე ყიდნენ და კიდეც ვინ იცის რას არ სჩადიოდენ.

აი ამ გაჭირვებაში მყოფ საზოგადოებამ არა ერთხელ მოსთხოვა გაბატონებულ ჯგუფს ანგარიშის წარმოდგენა, მაგრამ ისინი ხალხის კანონიერ მოთხოვნილებას არაფრად აგდებდენ. არა ერთხელ მიმგზავნა ხალხმა მე თითონ, ამ სტრიქონების დამწერი, ა. მდივანთან, რომ მას როგორმე მოეხერხებინა კრების მოწვევა, ანგარიშის წარმოდგენა და, თანახმად წარსულ კრების დადგენილებისა, კომიტეტის წევრების არჩევა, მაგრამ ა. მდივანი მუდამ სიტყვით იყოლიებდა ხალხს და ყოველთვის დაპირებით ამოშმინებდა აი დღეს აი ხვალ, ამ კვირეს იმ კვირეს, და ამ დაპირებაში გავიდა მთელი სამი თვეც და კრება კი არსად იყო.

ასეთ მდგომარეობას განიცდიდა ადგილობრივი საზოგადოება, როდესაც მან (არ ვიცოდით ვისი მეთაურობით) 14 მაისს სოფლის კანცელარიის ეზოში თავი მოიყარა, აქ იყო ქართველი, სომეხი, ებრაელი, დიდი და პატარა, ქალი და კაცი და ხსენებულ ჯგუფს ყველა დაწესებულების—კოოპერატივის, წვრილი კრედიტის, სასაკლაოს და სასოფლო სასწორის შემოსავალგასავლის ანგარიშის თხოვნა დაუწყო. კრება გაიხსნა თვით ჩემი თავმჯდომარეობით. კრების გახსნისათანავე ხალხმა ერთხმად მოითხოვა, რომ ხსენებულ ჯგუფს ყველა დაწესებულების ანგარიში წარმოედგინათ, და კომიტეტში მათ მიერ სასურველი პირები ყოფილიყვნენ არჩეული. ასეთ კანონიერ მოთხოვნილებას ჯგუფის წარმომადგენელი კ. ნინიძე წინ აღუდგა, და განუცხადა ხალხს „რომ:—„მათ ნება არ აქვთ ანგარიშის მოთხოვნისა და თავის სურვილისამებრ კომიტეტის წევრების არჩევისა, და თუ ამაზე, ისინი კიდევ ხმას ამოიღებენ იგი იძულებული იქნება საშუალებას მიმართოსო".

კაი თავისუფლებაა, თქვენმა მზემ, გაისმა ხალხის ხმა, რომ ჩვენდა დაუკითხავად ერთი კაცი განაგებდეს ჩვენ საქმეს. ამას ხომ ნიკოლოზ რომანოვიც სჩადიოდა და თავიდან მოვიშორეთ და ეხლა ვინ გაგვჩენია მის მაგიერიო? როგორც ხალხის სურვილია ისე უნდა მოვაწყოთ ჩვენი საქმეო გაიძახოდა ხალხი და თან ღელავდა დაჟინებით მოითხოვდა თავის ნების შესრულებას; ბ. ნინიძემ რა დაატყო, რომ ხალხი თავის კანონიერ მოთხოვნილებას არ იშლება, უბრძანა იქვე მდგომ, თოფებით შეიარაღებულ მილიციონერებს ესროლათ ხალხისთვის, მილიციონერებმა, ბრძანების თანახმად, უცბად თოფები შეათამაშეს და ის იყო ხალხს მიუშვირეს, რომ ამ დროს ასტყდა დიდი პატარის ყვირილი, ჭყივილ-ხივილი, უკან მდგომნი აქეთ-იქით გარბოდენ ტირილით და წიოკობით, მხოლოდ წინ მდგომნი შეცვივდნენ კანცელარიის აივანში და მილიციონერებს უცბად თოფები ჩამოაცალეს და მათ მბრძანებლებს ნინიძეს და ლომინაძეს ცემა დაუწყეს.

(დასასრული იქნება)

**ვ. შალიბაშვილი.**

### პასუხად ს. ფაშალიშვილს

(წერილი რედაქციის მიმართ)

„სახალხო საქმის" მე-8-ში მოთავსებულია მგოსან ს. ფაშალიშვილის წერილი, რომელშიაც თავს იმართლებს ბელგოროდელებთან 23-ივლისის გამართულ საღამოზე მონაწილეობის მიუღებლობის გამო. მიკვირს რად დასჭირდა ს. ფაშალიშვილს იმის თქმა ვითომ მე ის დამერწმუნებინოს „საღამო პარტიული არ არისო"; ს. ფაშალიშვილმა მკითხა: „რის სასარგებლოდ იმართება საღამო" და მეც უპასუხე „ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მეთქი" მეტი არც მას უკითხავს და არც მე არა მითქვამს რა და საღამოს რომ ბელგოროდის ეროვნულ-დემოკრატიული კომიტეტი მართავდა ეს ხომ ადრევე გაზეთებშიაც იყო გამოცხადებული. კომენტარიები ზედმეტათ მიმაჩნია...

**გრ. მაჭავარიანი.**

რედაქტორი **გრიგოლ ვეშაპელი.**

## ამიერ-კავკასიის რკ. გზის

**მატარებლების მოძრაობა**

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

**თფილისში მოდიან:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისკენ | საფ. | № 3, | 11.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.43 | საღ. |
| ბოროჯომისკენ | სამგზ. | № 19, | 8.20 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.27 | დილ. |
| ყვირილისკენ | სამგზ. | № 61, | 9.10 | დილ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.20 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 3, | 8.54 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 9.23 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 6-8, | 11.12 | საღ. |

**თფილისში მოდიან:**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 7.51 | დილ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.33 | საღ. |
| ახ. შ.-ბორჯ. | სამგზ. | № 20, | 7.45 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 10.12 | საღ. |
| ყვირილიდან | სამგზ. | № 62, | 8.24 | საღ. |
| ბაქოიდან | საფ. | № 3, | 10.08 | დილ. |
| „ | სამგზ. | № 7, | 4.12 | საღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.40 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 8***, | 8.10 | დილ. |


## კ ო მ ი ტ ე ტ ი
## ქართველთა სამხედრო კავშირისა

**მოუწოდებს ყველა ქართველ მეომარს (ჯარის-კაცებს, ოფიცრებს, სამხ. ექიმებს და მოხელეებს) ჩაეწერნენ აღნიშნულ კავშირში, რომლის მიზანია რუსეთის რევოლიუციის ხელის შეწყობა და საქართველოს ავტონომია. კომიტეტის ბინა მოთავსებულია ახალ კლუბის შენობაში (სასახლის ქუჩა). ცნობების მიღება შეიძლება „ჯარის კაცის" რედაქციაში დილის 10—2 საათამდე და საღამოს 7—8-დე.**

**კომიტეტი ქ. ს. კ.**

## თბილისის მრეწველნი
## ძმ. ძიძიგურები

**პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახ., № 9, ტელეფონი № 712.**

**უკ... დღე მიიღებდის საკუთარ და სავაჭრო სახლ. „...." ... მიღებულ ... ახალი ... ... „მე-ჩქარ" ... (წ.)**